

შინაური საქმეები.

✦ ჟოველ-კვირული გაზეთი ✦

№ 18-19.

ფასი ერთი შაური
 —
 ფლიური ფასი 4 მან.
 —
 წელიწადი მეხუთე.

კვირა, 13 მაისი 1912 წელი

ქოველ-კვირული გაზეთი

„შინური საქმეები“

ხელას მოწერა მოიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონის კაზაკების ქუჩის 17). და თბილისში კომპიუტერული სომხის რაზმში, სიმონიანის ქუჩის მდახაზში. გამომცემელი თვეში ოთხი ნომერი.

გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	სამი თვით:	ერთი თვით:
4 მანეთი.	2 მანეთი.	2 აბაზი.

ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიური ხელის მომწერთათვის შეიძლება ასე განაწილდეს: თაიფგან 2 მ. და 1 ონის 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1) ქუთაისი 13 მაისი; 2) ყოვლადსამღეღლო დავითის გამოსათხოვარი სიტყვა; 3) თამარ მეფის ხსოვნის შეურაცხება; 4) პროტესტები თამარ მეფის ხსოვნის შეურაცხების გამო; 5) საკითხი სულის უკვდავებაზე—ფი-პე ს-ძე-სი; 6) ყოვლადსამღეღლო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად—ჩი-სა; 7) შინური მიმოხილვა—გულკეთილისა 8) მაზრაპეტის სწეულება (რუსულით)—არქ. ნესტორისა; 9) სამღვდლოების დაჯილდოების შესახებ (რუსულით)—მღვ. სვე. კეკელიძისა; 10) ქართული საეკლესიო გალობის დამახინჯება—მოწაფისი; 11) სიტყვა მღვ. ბ. ვაშაძისა—მღ. მიხ. ჯაფარიძის ცხედრის წინ; 12) ფშავ-ხევსურეთის სალოცავები და ცოტა-რამ მათ და მათი მლოცავების შესახებ; 13) წერილები რედაქციის მიმართ; 14) კვირიდამ-კვირამდე; 15] რას გვწერენ?; 16) მადლობის გამოცხადება; 17) შეტომის გასწორება.

ქუთაისი 13 მაისი.

ლაშქრის ძლიერება მის სარდალშია. რამდენათაც მხნე, გულადი, თავდადებული, და შეუპოვარია სარდალი, იმდენათ გულადი და ძლევამოსილია ლაშქარიც. ამის მაგალითს ბევრს წარმოგვიდგენს მსოფლიო ისტორია, მაგრამ ჩვენ ყველას არ ჩამოვთვლით და მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ორ გმირს დავასახელებთ—ერეკლეს და გიორგი სააკაძეს. ხუთასი მეომრით ათიათასიან ჯარის ძლევა მხოლოდ ერეკლესა და გიორგისებურ თავდადებულ სარდალს შეუძლია. მაშ ლაშქარი ძლიერია არა მხოლოდ სიმრავლით, არამედ და უმეტეს თავის სულის ჩამდგმელ სარდლით. ასეა ყოველ წრეში, ყოველ დაწესებულებაში, ყოველ ჯგუფში და ასეა ეს უმეტეს ყოველ ერის ცხოვრებაში. ერი მაშინ არის ძლიერი, მეღვარი და მტერთა მზა-

რავი, როცა მას თავდადებული მოთავე, მამაცი მოქალაქე—სარდალი ყავს. და რაც მეტია ასეთი სარდლები მით ერთი უფრო ძლიერია. წინააღმდეგ, რაც ნაკლებია მათი რიცხვი მით ერთი უფრო ბეჩავია და უძლური. ამიტომაცაა, რომ ერთი ბელადებს ელის, მის ყვილს უყურებს და თუ თანადროში ასეთ ბელადებს მოკლებულია, ძველი გმირებით ცხოვრობს, მათ ხსოვნას იახლებს და მით სულდგმულობს. ამიტომ არის, რომ მეომარი თავს სწირავს სარდლისათვის, თავის სიცოცხლეს მტლათ უდებს მის კეთილდღეობას. ეს ასეც უნდა იყოს, ეს საჭიროა, რომ ჯარმა ძლევამოსილობა შეინარჩუნოს. მაგრამ ამასაც ხომ შეგნება უნდა, ამასაც ხომ გათვალისწინება უნდა.... ბეჩაობას თავს ვერ დაახწევს ის ერთი, რომელსაც ეს ჰემარტიკება გათვალისწინებული არ აქვს, რომელიც არ აფასებს თავის მოქალაქე სარდალს. ასეთი ვართ ჩვენ, ქართველები....

უოკლადსაგვდელო დავითის გამოსათხოვარი სიტყვა.

არა ერთხელ ვმდგარვარ წინაშე მიტოვებულთა და ნახევრად დანგრეულთა ტაძართა და მონასტერთა, რომელნიც მრავლად არიან ჩვენს ქვეყანაში, დაბურულ ტყეებში, მინდვრებსა და მთებში. იმათ დანახვაზე მწარე ფიქრთ მივსცემივარ და მწუხარებით წარმომიტქვამს: ნუ თუ ახლანდელი ჩვენი ეკლესია გაგრძელება იმ ძველ საქართველოს ეკლესიისა, რომლის შეილებმაც ასეთი დიდებული სამლოცველო შენობანი აღმართეს? ნუ თუ ახლანდელი ქართველნი არიან შთამომავალნი იმ ძველ სახელოვან ქართველთა, რომელნიც იყვნენ მხურვალე მორწმუნენი, რომელთაც გულში ანთებული ჰქონდათ ცხოველი და ღრმა სიყვარული ღვთისა და მოყვასისადმი, და რომელნიც ამ უმაღლეს სულიერ განწყობილებათა, გრძნობათა ცხადყოფდნენ, აჩენდნენ მშვენიერის ტაძრების აშენებით, მრავალ მონასტრების დაარსებით და იმათი შემკობითა ძვირფას

ხატებითა და სხვა სამკაულებითა, ნუ თუ ჩვენ ვართ შეილიშვილნი იმ ძველ ქართველთა, რომელთაც თავის წრიდან წარმოშვეს ფრიად განსწავლულნი ღვთისმეტყველნი, საამო მაგლობელნი, განათლებულნი და სამშობლოსთვის თავდადებულნი მოღვაწენი?

ღიად, ოდესღაც ჰყვოდა ჩვენი ეკლესია, მაღლი ღვთისა ცხადად იფინებოდა, სჩანდა, მასზედა.

აწი კი ჩვენ სიბნელითა ვართ მოკულნი და ვართ საწყლები. უბედურება ჩვენი მდგომარეობს იმაში, რომ ხალხმა ეკლესიას თავი შიანება. დღეს ჩვენი ტაძრები კვირაუქმე დღეებში თითქმის ცარიელია; ერთი, ნამეტურ ნასწავლნი, საეკლესიო ღვთისმსახურებას გაურბის, სამღვდლოებასთან მჭიდრო კავშირი არა აქვს. რადგან სამღვდლოება მიტოვებულია, ზურგგაუმაგრებელი, ამიტომ იგი, ერთი რომ თავის მაღალ მოვალეობას გულგრილად ეკიდება, არ ფხიზლობს, და მეორეც ისა, რომ მას ბოროტნი ადამიანნი ადვილად იბრყვიებენ, თავის ნებაზე ამოქმედებენ.

როგორია ჩვენი სარწმუნოებრივზნობრივი მდგომარეობა? ეს ყველამ კარგად იცის. სანამ ხალხი, ინტელიგენცია, შორს იქმნება ეკლესიისა და სამღვდლოებაზე, სანამ იგი ყურადღებას არ მიაქცევს საეკლესიო საქმეებს, მანამ ჩვენი მდგომარეობა სასიკეთოდ არ შეიცვლება; ძალა, ხსნა ხალხშია.

შეიყვარეთ, ძმანო, ეკლესია, დაუახლოვდით სამღვდლოებას, მოსთხოვეთ მას თავის მოვალეობა ნათლად შეასრულოს, გაამხნევეთ, გაამაგრეთ იგი სიტყვითა და საქმითა; და მაშინ, მხოლოდ მაშინ, გაუმჯობესდება ჩვენი საეკლესიო ცხოვრება, და ამასთანავე გაძლიერდება ეროვნული თვითცნობიერება.

ათი წელიწადია, რაც ჩვენს ცხოვრებას ვაკვირდები, ნამეტურ, ოთხი წელიწადია, რაც მას უფრო დაახლოვებით თვალყურს ვადევნებ, და მართალი გითხრათ, მუდამ მწუხარებას ვგრძნობდი.

ოთხი წელიწადია აქ ვმსახურობ მღვდელმთავარის ხარისხით, ოთხი წელიწადია მღვდელ-

ვმოქმედებ, ვსწირავ სიონში და სხვა ტაძრებში, მაგრამ მე თქვენ ვერ გიცნობდით საკმაოდ, და თქვენ მე ვერ მიცნობდით ჯეროვნად; ჩვენ შორის ზნეობრივი, მოძღვრული ურთიერთობა არ სუფევდა.

ვინ არის ამაში დამნაშავე?

თქვენცა და მეც!

თქვენ, — რო არ დაიარებოდით ეკლესიაში წირვალოცვის მოსასმენად, რო არ გქონდათ სიყვარული ღვთის მსახურებისადმი, რო არ გინდოდათ თქვენი ყოფნით ეკლესიაში გაგვმხნევენინათ, წაგექეზებინათ მოქმედებისადმი თქვენი მოძღვარი. ვარ დამნაშავე მეცა, რო არა მაქვს ცოდნა, მეცნიერება წმ. გრიგორი ღვთისმეტყველისა, მქვერ-მეტყველობა წმ. იოანე ოქროპირისა, მოქალაქობა-გავლენა წმ. ვასილი ღვთისა, ზნეობრივი სისხეტაკე წმ. ნიკოლოზისა, რათა მიმეპყრო თქვენი ყურადღება, მომეზიდა თქვენი გული და შემეყვარებინა თქვენთვის წმ. ეკლესია. მაგრამ ამ განშორების დღეს ნუ გაკვიცხავთ ერთმანეთს, არამედ მშვიდობა და სიკეთე ვუსურვოთ ერთიმეორეს...

მივდივარ სამშობლოდან, ვშორდები საქართველოს, მაგრამ თან მიმაქვს ძლიერი სიყვარული მამულისადმი. სადაც ვიქნები, ყოველგან მექნება გულში ღრმა მწუხარება ჩვენი ეკლესიისა გამო და მუდამ მზად ვიქნები შეძლებისადაგვარად მას ვემსახურო. მე შემოძლიან სამშობლოს ვემსახურო ორი საქმით. ვრაცხ ჩემ წმიდა მოვალეობად, როგორც აქამომდე, აღენიშნო საქიროებანი ჩვენი ეკლესიისა, ვსთქვა სიმართლე, მაგრამ არა თავისიანებში თავის მოსაწონად, არა კერძო ბაასში, არა სუფრახე, არამედ იქ, სადაც ჯერ არს, და როცა ამას მოითხოვს საქმე და ნამდვილი სარგებლობა ჩვენი ხალხისა. ესთელი ჩემ წმ. მოვალეობად, ჩემი ჯიბე გაეხადო საერთო, საქმო ჯიბედ, ჩემი ქონება მოეახბარო იმ დაწესებულებათა, რომელთაც მიზანს შეადგენს ჩვენი ხალხის განათლება, გათვიოცნობიერება. მექნება ბევრი, ბევრს მოეახბარ საზოგადო საქმეებს, მექნება ცოტა, ცოტას გავიღებ...

მშვიდობით, ჩემო ტკბილო, მშვენიერო

სამშობლო! მივდივარ შენგან არა იმიტომ, რომ არ მიყვარდე, არა, გშორდები, რადგანაც ძლიერ მიყვარხარ... მშვიდობით... მშვიდობით. ეპისკოპოსი დავითი.

თამარ მეფის ხსოვნის შუარახსება.

ხაჩატუროვის გაზეთმა „ტიფლისკი ლისტოკმა“ თამარ მეფის წმიდანობა დღეს გაიკვირვა, — გაიკვირვა, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ ერთჯერ კიდევ საცილნათ აეგდო ქართველი ერი, — ეს გულკეთილი და გულუბრყვილო მასპინძელი, რომელიც სიამოვნებით ბინას აძლევს და გზას უცლის ყოველ გამგელს. რასაკვირველია, ბ. ხაჩატუროვი გვემართლება, როცა არც ერთ ქართველს სომხის მკირვოდენი სიწმიდე კი არა, სიბილწეც არ შეუგინებია. ამ ამბის შესახებ ყოვლადსამღვდელო დავით და ანტონს თბილისელ ქართველსამღვდელოებითურთ პროტესტი განუცხადებიათ ბ. ხაჩატუროვისა და მის თანამშრომელ „ზიგ-ზაგისათვის“. პროტესტი განუცხადებია აგრეთვე „ქართველთა ამხანაგობის“ კანტორის და სტამბის მუშებს, რიცხვით 72 კაცს და 203 თბილისის მოქალაქე ქართველებს.

მთელი დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება და მორწმუნე საზოგადოება თავის მღვდელმთავრებითურთ აღშფოთებულია ბ. ხაჩატუროვების საქციელით და თავის გულისწყრომას უცხადებენ ნეტარი მეფე თამარის ხსოვნის შებლაღვისათვის. იცოდეს ბ. ხაჩატუროვმა, რომ ქართველების გულში თავის უწმიდური ხელის ფათურით მან შეურაცხყო მთელი ერის წმიდათა-წმიდა, რაც მიუტყვებელ დანაშაულობათ უნდა ჩაეთვალოს ყოველ მოღვაწეს.

პროტესტი

„ქართველთა ამხანაგობის“ კანტორის მოსამსახურეთა და სკამზის მომუშავეთა.

ჩვენ ქართველთა ამხანაგობის კანტორის

მოსამსახურენი და სტამბის მომუშავენი განურჩევლად ეროვნებისა გულის წყრომასა და ზიზღს ეუცხადებთ გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკს“ და მის თანამშრომელ ზიგზაგს, რომელთაც კვლავ დაიწყეს თავის ბინძური ხელის ფათური ქართველ ერის სულსა და გულში და შეურაცხევს ამ ერის სათაყვანებელი წმიდა თამარის ხსოვნა; მაგრამ „კოკასა შინა რაცა სდგას იგივე წარმოდინდების“. „გარკვენილებისაგან სათნოება როდის წარმოშობილა“.

(სახ. გაზეთი.)

ხელს აწერს 72 კაცი ეროვნების განურჩევლად.

პროტესტი მოქალაქეთა.

ჩვენ ამისა ქვემოთ ხელის მომწერნი, სულთა და გულით შეურაცხყოფილნი და აღშფოთებულნი ვართ, ბატ. ხაჩატუროვების და მათი დამკავებისაგან ჩვენი წმიდათა წმინდის შებლაღვისა და შევიგინებისა გამო.

წმიდა თამარ მეფე ქართველებისათვის, წმიდათა წმიდა და იმისი სახელისა და სიწმიდის აბუჩად აგდება და ავად მოხსენება, დიდი თავხედობა და სირვეგნეა ვისგანაც უნდა იყოს ჩადენილი. ამისათვის უცხადებთ ბატ. ხაჩატუროვს, „ზიგზაგს“, ქიშიშოვს და კომპანიას ჩვენს განუსაზღვრელს გულის წყრომას და აღშფოთებას. ესთხოვთ ეს, ჩვენი პროტესტი სხვა გაზეთებშიც გადაბეჭდონ.“

(სახ. გაზეთი.)

ხელს აწერს 203 კაცი.

საპითხი სულის უკვდავებაზე.

(თარგმანი *).

ერთი წუთით დაეთანხმდეთ, რომ რწმენა უკვდავებისა სრულებით დასტოვა კაცობრიობამ, დაეთანხმდეთ, რომ ქვეყნად ყოფნის უკა-

*) გერმანულ „ფილოსოფიის და პსიქოლოგიის კითხვებიდან“. წიგნი მე-XIX და XX-ცე. პროფ. ს. ს. გლაგოლევისა.

ნასკნელ ამოოხრით თავდება ადამიანის არსებობა საზოგადოთ, უკანასკნელ ტანის დამკრუნჩხავ მოძრაობით თავდება უკანასკნელი გრძნობა სულისა. უძველეს დროიდან იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ასწავლიდნენ, რომ კაცის სული წარმავალია, ხრწნადი და დასასრულის მექანი. მაგრამ ასეთი პირები ერთი რომ არსებობდა ცოტანი იყვნენ კაცობრიობის დანარჩენ შრავალ რიცხოვან ნაწილთან შედარებით, და ემორეთ, ვინ იცის, თვისი სულის სიღრმეში ისინი, შეიძლება, ატარებდნენ შფოთიერ იმედს, რომ მათი შეხედულება შემცდარია და რომ შემდეგ მათი სიკვდილისა დაიწყება მათთვის ახალი, ზეციური ცხოვრება.

ადამიანს რომ უთხრა, მთელი შენი ყოფაცხოვრება მხოლოდ ქვეყნათ არსებობით განისაზღვრებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ წაართვათ მას აზრი ამ არსებობისა. თუ ქვეყნად ცხოვრება არ არის მომზადება ზეციური ცხოვრებისათვის, მაშინ ვერაერთად საველდებულო ნორმებს ვერ დაუდგენთ მას. მართლაც, ჩვენთვის რომ გამოვრკვიათ, სიკვდილით ჩვენთვის ყველაფერი თავდებაო, მაშინ რომელი ცხოვრების გამოცანა შეგვეძლო აღგვეარებია გონივრულად და დაგვესაბა მიხნად? უეჭველია, მიხნად დავისახავდიო, რაც შეიძლება, ცხოვრებისგან მეტ ტკბილ გრძნობათა აღებას. თუ რა უნდა მიგვაჩნდეს სიამოვნებად, ეს დამოკიდებულია ტემპერამენტის და ჩვეულებისაგან. ზოგს უყვარს ღვინო, ზოგს დაჯიბრება: სირბილში, ბანქოში, პოლიტიკაში, ნადირობაში, ომში. ოდესღაც, დიდი ხანია, არ მახსოვსაღ, წავიკითხე ზნეობრივი კატეხიზმო გულ-ლია მატერიალისტისა; შეიძლება, მე უნაკლულად ვერ გადმოვცეთ მისი სიტყვები, მაგრამ თავს ვიძებ, რომ არ გადავცვალო მისი აზრი: კარგია მთვრალობა, კარგია განცხრობა, კარგია სიყვარული, — ამბობს ის, — კარგია ერთგულობა, როცა მას დანაშაულობაზე მეტი ფასი აქვს, მაგრამ კარგია აგრეთვე დანაშაულობაც, როცა ის ერთგულობაზე მეტად ფასდება, კარგია ქორწინება, როცა ის იძლევა სიტკბოებას, მაგრამ კარგია აგრეთვე მრუშება იმისთვის,

ვისაც ქორწინება მოსწყინდა და უყვარს გათხოვილი ქალი. კარგია მაცთურობა, ქურდობა, ფიცის გატეხა და მკვლელობა, როცა ისინი გვაძლევენ სარგებლობას და სიტკბოებას. კარგია ცხოვრება, სანამ იგი შეადგენს გამოცანას, მაგრამ კარგია აგრეთვე სიკვდილიც იმისთვის, ვისაც მოსწყინდა ცხოვრება და ვინც გამოიცნა ეს გამოცანა. და რადგანაც უმადლესი წერტილი ყოველნაირ სიტკბოებისა მოტყუება და პროზაა, ამიტომ ქეშმარიტ ბრძენად შეიძლება დავსახოთ მხოლოდ ის, ვინც ღებულობს საწამლავს და ერთი წამის განმავლობაში კვდება. ამ კატეხიზმში სურათი განძრახ გაზვიადებული არ არის. თუ თქვენ არ გაქვთ საფუძველი, არ გაქვთ იმედი, ამბობს ის, აიღეთ ცხოვრებისაგან ის, რაც მას შეუძლია მოგცეს, ავეთეთ უფრო სასიამოვნო თქვენთვის: თუ თქვენ ვატყობთ მოყვასისადმი კეთილის მიგება, ჰქმნით, თუ თქვენ მოგწონთ სხვისი შეცთომა—აძღუნეთ: კაცი, რომელსაც არ სწამს უკვდავება და შეგნებულად გაუბრუნებელი მოვლენებს, ვალდებულია აღიაროს უცილობელი სიმაართლე მოყვანილი კატეხიზმისი. ყველაზე უფრო ქეშმარიტია მისი დასკვნა, რომ უფრო ბრძენი კაცები თავის მკვლელები არიან. მართლაც, განცხრობათა გამოდგომა, იშვიათად აღწევს მიზანს და მიღებული განცხრობაც ძვირად გვიჯდება. ზოგიერთ სიტკბოების შემდეგ განვიცდით ფიზიკურ ტანჯვას. ეს აუცილებელი შედეგია ღვინის, მორფის და სხვა დამთრობელ სასმელოთა ხმარებისა. ზოგ სიტკბოებათა შემდეგ განვიცდით მწვავე ზნეობრივ სირცხვილს, ხოლო უვადო ღატხოვნა სინიდისისა ადვილი არ არის იმ კაცისათვისაც კი, რომელსაც არ სწამს უკვდავება. ესტეტიური სიამოვნება თავის შემდეგ არ სტოვებს ისეთ მწვავე ტანჯვას, როგორც გრძობადი სიტკბოებანი; მაგრამ, კაცი იმ ზომამდე რომ ამაღლდეს, რომ ისარგებლოს ესტეტიური სიამოვნებით, საჭიროა დიდი შრომა თავის განსაზღვრებათ. შემდგომ, ყველა ესტეტიკები ხშირად განიცდიან ესტეტიურ დაუკმაყოფილებლობის გრძობას, მათთვის საჭიროა ყოველთვის ახალი აღძვრა, ახა-

ლი ნაწარმოები ხელოვნებისა და ამის მაგიერ მათ აწვდიან უნიჭო ადამიანის ნაწარმოებს. ამისგან უჩნდებათ გრძობა დაუკმაყოფილებლობისა, მწუხარებისა და მოწყენისა. ყველაზე უკეთესი საშუალება მტანჯავ სინამდვილის შეთბეკვლებისაგან განსათავისუფლებლად ეს, რასაკვირველია, საწამლავი და ტყვიაა. უშფოთველი განსვენება შეიძლება ვაპოვოთ მხოლოდ საშარეში. იმ კაცს, რომელიც ემსახურება გონების ინტერესებს და არ სწამს სულის უკვდავება, ეს დასკვნა აუცილებლად უნდა წარმოუდგეს, იმიტომ რომ უკვდავების უარყოფით შეცნირული და ხელოვნური მოქმედება ჰკარგავს თვის უფლებას და ადამიანი და კაცობრიობაც ოდესღაც უგზო უკვლოდ დაიღუპებიან. რილასთვის არის ყველა ეს აუარებელი შრომა, ვაება, ტანჯვა, რომელიც განუშორებლად თანსდევს ყოველ მოქმედებას; ყველა ეს ამაეობა, როგორც ეს ოდესღაც განისაზრა ძველი აღთქმის ბრძენმა. ამ ნაირად საიქიო ცხოვრების უარყოფას იმ დასკვნამდის მიყვარათ, რომ ქვეყნად ცხოვრება ბოროტი და უზროა.

ამ დასკვნას არ შეუძლია შეურიგდეს ბუნებრივი კაცობრიული გრძობა და აი კიდევ კაცობრიობის უმეტესობამ თვისი რწმენის ერთ-ერთ თავში ჩაუმატა სწავლა უკვდავებაზე. მაგრამ კაცობრიობა, თუმცა ჩაუმატა სწავლა უკვდავებაზე თავის ქეშმარიტებათა რიცხვში, მაინც დარჩა წუთიერ მისწრაფებათა მონების ქვეშ, ივლტოდა და მიილტვის, რაც შეიძლება, მეტი ქვეყნიერი სიკეთისადმი და სრულიად არ ზრუნავს ზეციურ სიკეთის შეძენაზე.

დავაცენეთ რა საკითხი სულის უკვდავებაზე, ჩვენ გვესმის ეს უკვდავება ისე, როგორც წარმოიდგენდა მას რელიგია და ჩვეულებრივი ადამიანის შეგნება. უკვდავი ვართ თუ არა ჩვენ, როგორც ინდივიდუუმები განსაზღვრული წარსულითა, რომლის შესახებ ჩვენ პასუხის მგებელნი ვართ სხვების წინაშე, ანუ სხვანი პასუხის მგებელნი არიან ჩვენს წინაშე? ასე დაცენებული საკითხი შეიძლება მართლად გავარჩიოთ მაშინ, როცა ჩვენ გამოვარკვევთ, რა არის ჩვენი სული და ჩვენი პიროვნება.

ამის გამოკვევას ჩვენ ეხლავე შეუდგებით. იმ თეორიებიდან რაც ეხლანდელ პსიხოლოგიას აქვს სულის შესახებ, მე ვირჩევ ოთხს, რომლებიც მიმაჩნია ნიშანდობლივად და რომელთა კრიტიკულ განხილვის შემდეგ, ვგონებ, დაბეჯითებით შეიძლება გამოვიყენოთ ახსნა ჩვენთვის საინტერესო საკითხისა. ამ თეორიებს მე შემდეგ სახელებს უწოდებ: ა) მატერიალიზმის თეორია ბ) პსიხიური ატომიზმის თეორია გ) პანთეიზმის თეორია და დ) პსიხიურ ინდივიდუალიზმის თეორია.

შემდეგი იქნება.

ფი-პე ს-ძე.



ყოველანაირად უნდა აღინიშნოს მოკვანურობა სამეცნიერო ეკლესიების დასათვალისწინებლად.

(გაგრძელება¹)

დასავლეთ საქართველოში ცხენით და ჯორით მოგზაურობა სულმნათი გაბრიელისა და ყოვლადსამღვდელო ლეონიდისა სასიამოვნო მოსაგონ საგნად დარჩება მორწმუნე სამწყსოს. სასიანულოა მხოლოდ, რომ თავის დროზე არავის აზრით არ მოსვლია სურათების გადღება ხსენებული მღვდელმთავრების მოგზაურობისა ეპარქიაში.

ერთხელ, იმერეთში ყოფნის დროს, ყოვლადსამღვდელო ლეონიდი მიემგზავრებოდა გადაღმა სვანეთში. ცაგერიდამ გასულს, უნდა გაგვევლო გადმოღმა სვანეთის პირველი სამრევლო—ყვედრეში. გაუსწორდით თუ არა ყვედრეში ეკლესიას, მთელი სოფელი დედა ბუდიანათ წინ გადაგველობა, ქალმა და კაცმა ყველამ დაიჩოქეს და ხელებ-აპურობით შევედრნენ მღვდელმთავარს: გადმობრძანდით ცხენიდან, გვინთხვიეთ მარჯვენაზე, დაგილოცეთ შეიღები და გვასხურეთ ყველას წმ. აიაზ-მამო. სიხარულით შეუსრულა მწყემს-მთავარმა თავის სულიერ შვილებს საღმრთო სურვილი, დალოცა ყველანი გულმხურვალეთ, დამწყსო

1) იხ. „ზინ. საქ. № 17.

მამაშვილურად და აპირებდა ცხენზე შეჯდომას, მაგრამ ისევ შევედრა გულგამთბარი სამწყსო თავის სულიერ მამას: მოისვენეთ პატარა ხანს მინდორში, ნუ იუკადრისებთ ჩვენთან ერთად პურ-მარლის მიღებას და მოგვეცი თ შემთხვევა, რომ ცოტახანს გიყუროთ და სულით დავტკბეთო. გლეხური სუფრა მწვანე ბალახზე და მღვდელმთავარი თავის სულიერ შვილებთან შორის—ეს ისეთი მაღლიანი სანახაობა იყო, რომ არასოდეს არ დამავიწყდება ჩემს სიკოცხლეში და ძვირფას განძათ მივიჩნევდი, ამ შემთხვევის სურათი რომ მქონდეს...

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს პირდაპირ საგანს.

ავგისტოს ორს ნახულ ეკლესიებში ყველაზე მოსაწონი აღმოჩნდა ქვედა გარახის ეკლესია, იგი ფართო, მოხდენილი და ნათელია; ხატებით, შესამოსლით, საღვდელმოქმედო წიგნებით და ნივთებით უნაკლულოა, ეზო ფართო და კარგათ მოვლილი აქვს, ყველაფერი ნათლად გვიჩვენებს, რომ მღვდელს ესმის თავისი მოვალეობა და გული ერჩის ღვთის სამსახურისთვის.

რაც შეეხება ზედა გარახისას, მოდინახისას და პირველ ქოლის ეკლესიებს ყველანი ღარიბები და მოუწყობელი არიან. უკანასკნელი ორი ეკლესიების მღვდლები ჯერ გამოუცდელნი არიან და ეკლესიური სამსახური ნაკლებად ესმით. ხსენებულ მამებს დიდი მეცადინეობა სჭირიათ, რომ დახელოვნდნენ ეკლესიურ ტიბიკონში, შეითვისონ ნამდვილი კილო სახარების კითხვისა და საზოგადოთ გაგარჯიშდნენ ქართულ ენაში. ნაკლულევანებათ უნდა ჩაეთვალოთ აღნიშნულ მღვდლებს ისიც, რომ მათ არა აქვთ სამრევლო შკოლები.

სამი ეკლესია დარჩა დასათვალისწინებელი მოიდანახის საბლალოჩინო ოლქში: მეორე ქოლისა, ხანწყისა და თაიისა.

მეორე ქოლში მღვდლობს ახალგაზრდა გიორგი ახალაია. ამ ახალაიამ დაიჭირა თავისი სიმამრის, მღვ. შენგელიას აღაგი. მრევლს დიდი უსიამოვნობა ჰქონია შენგელია მღვდელთან მისი უხასიათობისა და ცუდი ქცევის გა-

მო. სამსახურიდან რომ გასულა, მრევლს უფიქრია—ახლა კი მოვისვენებთ, მოგვშორდა უსიამოვნო მოძღვარიო. მაგრამ წინ დაუხედავ შენგელია მღვდელს უარესად აუღელვებია მრველი, მას ხალხისთვის უთქვამს: აქამდინ ხომ ჩემი ყმები და მონები იყავით, ახლა ჩემს ქალიშვილს გაგაყოლეთ მზითვეში და ჩემი სიძის ყმები გაგხადეთო.“ ეს ხალხს ცეცხლად მოსდებია გულზე, აჯანყებია მღვდელს, შეუტანიათ საჩივარი, ახალაია ყაღბი განაჩენით არის არჩეულიო, საჩივარს მიეცა ჯეროვანი მსვლელობა და საცოდავი ახალაია, მშვიდობიანი და შეგნებული კაცი, აგერ ორი წელიწადი სრულდება, ვერ შესულა მრველში. ყოვლადსამღვდელო დიდათ ეცადა, რომ შეერიგებინა მრველი და მღვდელი, მაგრამ ხალხი ცივ უარზე დადგა და არაფრის გულისთვის არ ისურვა მიღება ახალი მღვდლისა. ალბათ დიდი, ძალიან დიდი დანაშაული უნდა მიუძღოდეს შენგელია მღვდელს, რომ ხალხს არა თუ პირადათ მისი, მისი ნათესავის სახელის გაგონებაც არ სურს.

ეკლესია ქვისაა, მაგრამ ბნელი, უსუფთაო და სრულებით გაუწყობელია. ხანწკა მეგრულათ გაშხდას, მკლეს, მწირს ნიშნავს და სწორეთ ზედ გამოჭრილია მრველის მდებარეობაზე ეს სახელი. ხსენებული მრველის ნიადაგი მწირი და უნაყოფოა, ხალხი ღარიბი და შეუგნებელია, ეკლესია მთლად მოშორებულია მცხოვრებლებზე და წარმოადგენს სულ უბრალო, ყოველ სამკაულზე მოკლებულ ფიცრულ ქონს. ყოვლადსამღვდელომ დაავალა მრევლს შუაგულ ალაგას ჯეროვანი ეკლესიის აგება.

თაიის წმ. გიორგის ორშტატიანი ხის ეკლესია შესაფერისი არ არის არც მღვდლებისა და არც მრველისა. მრველი ხსენებული ეკლესიისა საქონლის მოშენებას მისდევს და ქონებრივით უძღუნონ არ არიან. მღვდლებად ძველთაგან თოდუები ირიცხებიან და დღეს ამ გვარში ათი მღვდელია, მათგანი ზოგი სემენარიელი და ზოგი სასულიერო სასწავლებელში სწავლა დამთავრებული. არც ხისა და არც ქვის საშენი მასალა ძნელი საშოვარი არ არის და, თუ კი მეთაური გამოუჩნდა ვინმე, საძნელოთ არ და-

ურჩებათ ქართული გეგმის გუმბათიანი თლილი ქვის ეკლესიის აშენება, რაც დაუფიქსარი ძველი იქნება თაიელბისთვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მ. მ. თოდუები ითავებენ ამ საშვილიშვილო საქმეს და თაიანთ გვარს ალაგს მოუპოვებენ სამშობლო ისტორიაში.

თაიიდან მისი მეუფება გადაბანდა ალავერდის საბლალოჩინო ოლქში. მზე ჩაწურული იყო, რომ ახალ ოლქის პირველ მრველში, სოფ. ნაფიჩხოუში, მოვედით. ათასამდი ქალი და კაცი უცდიდა ძვირფას სტუმარს. გალავანში შესვლისათავე მღვდელმთავარს მიეგება ადგილობრივი მღვდლის შვილის, თბილისის სემენარიის მოსწავლე, ბ. ბერულავასგან გაწყობილი მგალობელთა გუნდი, „ისპოლას“ თქმით და შერე წა- გიორგის ტრობრის გალობით წინ გაუძღვა ეკლესიისაკენ. ეკლესიის კარის ბეჭეში მის მეუფებას შეხვდა მთელი საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოება მღ. დიმიტრი ბერულავას მეთაურობით, რომელმაც მრველის და კრებულის სახელით მიართვა მის მეუფებას მაცხოვრის ხატი და თან მიმართა მას შემდეგი სიტყვით:

ყოვლად უმოწყალესო მწყემსო—მთავარო და მამაო!

ეს ტაძარი მღვდელმთავარმა რომ აკურთხა, იქნება ოცდათუთხმეტი წელიწადი. ძვირად იქნება ისეთი შეკრებილება ამ მხარეში, სადაც სიხარულით არ მოუთხრობდნენ მშინდელ და შემდეგ იმისა ამ ტაძარში მღვდელ-მთავართა მობრძანების ამბავს. დღეს რომ გაიგეს თქვენი მეუფების მობრძანება ყველამ თავი დაანება თაიანთ საჩქარო საქმეებს და გამოემუთნენ ეკლესიისკენ. დღეს მათი საცხოვრებელი ბინა ცალიერია, გარნა ტაძარი ესე საესეა. მათ უყვართ ეკლესია, პატივს ცემენ მის წმიდანებს, ნიეთიერად ღარიბნი, ისინი არიან სარწმუნოებით მდიდარნი. მათ სწყურიათ თქვენი მეუფებისაგან სიტყვის მოსმენა, მათ სწყურიათ თქვენი მეუფებისაგან ლოცვა კურთხევის მიღება. დღეს ერთად ჩვენთან სულიერად დღესასწაულობენ ჩვენი მიკვალუბულები.

რომ მათს ეკლესიაში ბრძანდება ყოვლადსამღვდელო. შემდეგ ამისა ყველანი ჩვენ თავს ვრაცხთ მეტ ბედნიერათ, რადგან თქვენმა მეუფებამ პირადად ინახულა ჩვენი სოფელი, რომლის ყოველნაირ საჭიროებას და ნაკლებეანობას მართო ერთის შეხედვით შენიშნავს თქვენი მეუფების ბრძნული გონება, რომლის გამო ვიმედოვნებთ ჩვენი ეკლესიის და შკოლების საქმის მსვლელობის დროს თქვენი მეუფება გაგვიწვეს მფარველობას. ყოვლად უმოწყალო მეუფეო! ჩვენთვის ეკლესიის მსახურათვის თქვენი მეუფების მობრძანება დიდი სასიხარულოა. ის გვანუგეშებს წასრულ შრომისათვის, გვაძინეებს მომავლისათვის, გვიმტკიცებს რომ ჩვენ ჩვენი მძიმე მოვალეობის აღსრულებაში მართანი არა ვართ, ჩვენ გვყავს მღვდელმთავარი, რომლისადმი შეგვიძლია მივიქცეთ რჩევა-დარიგებისათვის და რომლისათვის ძვირფასია თითოეული სულიერი ინტერესი თავის სამწყსოსა. ნიშნად განუსაზღვრელისა სიხარულისა და სიყვარულისა კრებულნი და მრევლნი ამა ეკლესიისა ამასთან მოვართმევთ თქვენს მეუფებას ხატსა, მასზედ გამოსახული ქრისტე მაცხოვარი ფარვიდეს ჩვენს სასიკადულო თქვენს მეუფებას. ილოკეთ, ყოვლად უმოწყალო მეუფეო, ზეციერ მღვდელმთავრის ტრაპეზის წინაშე რომ ცხოვრება ადგილობრივ მკვიდრთა თან-და-თან განვითარებული მიმდინარეობდეს კეთილ-ქრისტიანულ მიმართულებით და ვლირსებოდეთ თქვენი მეუფების აქ მობრძანებას მრავალ ეამიერ.

(შემდეგი იქნება).



შინაური მიმოხილვა.

ტერიტორიის, მიწაწყლის საკითხი არა თუ პატარა, უპატრონო ერების, უძლიერესი, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებისთვისაც კი სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს წარმოადგენს. დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკის ერთი უაღრესი მოტივი ამ დიდი საქმით არის გამოწვეული, რომელიც ამასთანავე დღეინდელს კაპიტალი-

სტურ ხანაში ამ სახელმწიფოების სხილ მრეწველობას მთელს დედამიწაზე ასპარეზს უფართოებს და ამდიდრებს მას კოლონიებში. სახელმწიფოთა შორის ატეხილი დაუზოგველი კონკურენცია და ერთი ვაი-უშველებელი ამ გამწარებულმა მოთხოვნილებამ წარმოშვა დღეს და ამაზე ლაპარაკი ახლა აქ შორს წამიყვანდა.

მეტია იმისი თქმაც, რომ ისეთი პატარა ერები, როგორც მაგალითად, ურიები და სომხები, რომელთაც თითქმის სრულიად დაუკარგავთ თვისი მრავალტანჯული მამულის ტერიტორია, რა უბედურობას და ტანჯვას განიცდიან ამ წუთისოფლად. ურიებზე ნუღარას ვიტყვი, ყველამ იცის იმათი დატანჯული ისტორია და აუწერელი ვება, რომელიც მათ საუკეთესო, უნიჭიერეს შვილებს სისხლის ცრემლით ატირებდა არა თუ ძველად და საშუალო საუკუნოებში, არამედ ახლაც, ამ ჩვენ დროში, როგორც მაგ., გერმანიაში ლიდოვიკ ბერნეს, ჰენრიხ ჰინეს, ფერდინანდ ლასალს და კარლო მარქსსაც...

სომხებს დღესაც შერჩენიათ ვანის ტბის არე-მარეზე სასუნის და ზეითუნის სერები, აგერ-გეგრ განჯის და ერევნის გუბერნიებშიაც მთა-გორიანი ადგილები. მას შემდეგ, რაც სომხეთის სამეფო უმოწყალო, განუკითხველ ბარბაროსების მახვილმა სრულიად მოსპო, სომხებიც ურიებივით ლტოლვილ იქნენ თვისი მამულიდან და დღეს სომხებს კაცი შეხედება არა თუ საქართველოში, ყოველგან აზიაში, ევროპაში, აფრიკაში და, ასე გასინჯეთ, ამერიკაშიაც, სადაც იმათ გაზეთიც აქვთ დაარსებული თავიანთ ენაზე...

სომხეთის ბევრ გამწარებულ მამამული-შვილს დიდათ გულს უკლავს ეს გარემოება. სხვებიც რომ არ დავასახელო, ეს გარემოება ბევრ მწარე ნალველით სავსე სტატიებს აწერინებდა განსვენებულ გრიქურ არწრუნის „მშაქ-ში“ და „არწივ ვასპურაკანის“ სახელოვანი რედაქტორი, პაირიკ ხრიმიანი რომ სომხეთის მადლიერმა ერმა კათოლიკოზათ აირჩია, მაშინ 1892 წ. მან თფილისში შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ამ საგანზე და იქვე თავმოყრილ

ურიცხვ სომხების კროებს გამწარებული შესძახა: „გნანქ, გნანქ ვრაცისტანუმენო“, ესე იგი, ვასწით, გადით საქართველოდან!...

მაგრამ გულგახეთქილ მამულიშვილს ლუკმა პურისთვის სამშობლოდან გამოქცეული სომხები როგორ გაუგონებდნენ, როცა სომხები არა თუ თფილისში, ამ თანამედროვე აზიის ბაბილონში, არამედ ყოველგან ყოველ ქვეყნის დიდ სამრეწველო ქალაქებში და ბოლახებში დიდ-დიდ სამუშაო, საექსპლოატაციო საქმეებს ეწევიან და აწარმოებენ.

ასეთ ბეჯით და ენერგიით საესე ხალხს, მიუცილებლად, დიდი, სანატრელი მომავალი ექნება...

საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდანვე ძალიან ვრცელ არე-მარეს წარმოადგენდა. გამოჩენილი ეთნოგრაფი ვივიენ დე-სენ-მარტენი, რომელმაც 1846 წ. პარიზის ეთნოლოგიურ საზოგადოებაში თვისი შესანიშნავი გამოკვლევა ქართველებზე წაიკითხა, ამბობს, რომ საქართველოს მიწა-წყალი შეიცავდა კავკასიონის მთავარ ქედს და არეზის მდინარეს (მდ. არაკსი) შუა მდებარე ყველა ადგილებსო.

აი, ქვეყნიერების ეს უმდიდრესი არე-მარე იყო უძველესი დროიდან ის აკვანი, სადაც გაიზარდა და ღონიერად შთის არწივივით ფრთები გაშალა ქართველობამ. საქართველოს მიწა-წყალი წარმოადგენდა გასაოცარი ნაყოფიერებით საესე ნიადაგს, რომელიც მრავალი ხეობებით დასერილ მთიან ადგილებს შეიცავდა. ქალაქები და დაბა-სოფლები ქართველებისა გაშენებული იყო მთებსა და მთების ტყიან ადგილებში, რომ ურიცხვ მტერთა აწიოკებისგან უშიშარ მდგომარეობაში ყოლოდათ იმათ ოჯახობა და თავიანთი სიმდიდრე და ავლა-დიდება დაეცვათ. ჩვენი მამულის მთები, გერბერტ სპენსერის*) აზრითაც, დიდათ ხელს უწყობდა ქართველობას დაეცვა დამოუკიდებლობა, საერთო დედა ენა, თვისტომობა და თავისუფლება. ეს აზრი სპენსერისა, რომ მართალია, ამტკი-

*) იხ. Основания Соціологіи, სპენსერისა გვ.

ცებს შამილის დიდათ მამაკური ხანგრძლივი ბრძოლა უძლიერეს რუსეთის არმიასთან, რომელმაც საარაკო ელფერი დაჰკრა ისტორიაში ამ გასაოცარ მთის არწივს...

რასაკვირველია, საქართველოს ამ ტერიტორიის შესახებ სომხის ისტორიკოსნი გვეცილებიან. სომხთა ისტორიკოსების აზრიც რომ არ მოვიტანო აქ ადგილის ეკონომიის გულისთვის, ერთ ამბავს დავასახელებ ჩემის ცხოვრებიდან.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ერთ საღამოს თფილისის საჯარო ბიბლიოთეკაში არქეოლოგებისა და ისტორიკოსების კრებაზე განსვენებულმა ქართველმა არქეოლოგსმა დიმიტრი ბაქრაძემ საქართველოს საზღვრებზე დიდათ სინტერესო ლექცია წაიკითხა. მე მაშინ სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი, სადაც იმ დროს ლე. დიმიტრი ჯანაშვილი იყო აღმზრდელად დანიშნული. იგი და მე ერთად წავედით დიმ. ბაქრაძის ლექციის მოსასმენად. მაგრამ მე სემინარიიდან უნდა გავპარულიყავი, რადგან სემინარიის მთავრობა წასვლის ნებას არ დამრთავდა.

ლექციაზე დიდძალი საზოგადოება მოგროვდა, უფრო კი სომხობა და რუსობა იყო. ქართველებიდანაც იყო ორიოდე თვალსაჩინო მწიგნობარი მოსული. თავმჯდომარეობდა გენერალი მაკაროვი, რომელიც არქეოლოგიის დიდი მოტრფიალე იყო...

დიმიტრი ზაქარიაძე ბაქრაძეს მე პირადათაც ძალიან კარგათ ვიცნობდი. სტუმრადაც ვყოფილვარ რამდენჯერმე იმის ოჯახში. მეტისმეტი თავდაბალი და ტრედივით უმანკო ადამიანი იყო, ამასთანავე საოცარი მშრომელი და მოძრავი, თხიზელი, მოსვენება არ იცოდა...

გაათავა მან თუ არა ლექციის წაიკითხვა, იმ წამსვე ატყდა გამწარებული კამათი. რუსებს ერთი სიტყვაც არ წამოცდენით, კამათში არ ჩარეულან, ისე იღიმებოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, უთუოდ მოკამათებზე ეცინებოდათ...

წამოესიენ ჩვენ დიმიტრის სულ სომხების „ასკასერები“ და ნამეტურ ცნობილი დამტყვე-

ბული „ასკასერი“ ისტორიკოსი (?) ერიციანი (ერიცოვი), რომელიც გიორ. თუმანოვის „Новое Обозрѣніе“-ში მთელი ორი წლის განმავლობაში აცხობდა უნიკო წერილებს ამ სათაურით: „Католицизмъ въ Грузіи“, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოში ერთი ნამდვილი ქართველიც არ მოიპოვება კათოლიკეო. აი, ეს ვაჟბატონი გამობრძანდა დიმიტრი ბაქრაძის ოფიციალურ ოპონენტად, რომელსაც გულმოსულმა ღვ. დიმიტრი ჯანა-შვილმა, ცოტას გაწყდა, კინაღამ ინგილოური მაგარი სილა გააკრა, რომ შუაში დროზე გამზავებლნი არ ჩავარდნილიყვენ და... საზოგადოებაც დაიშალა...

ეს ებიზოდი დიდათ საყურადღებოა. ეს ამბავი ამტკიცებს იმას, რომ ერის ტერიტორიის, მიწა-წყლის საზღვრები ისტორიაში ხშირად და ძლიან ხშირადაც ახლო ნათესავ ხალხებსაც გადაკიდებდა ხოლმე და მათ შორის საზარელ ომებს, დაუსრულებელ სისხლის ღვრას ასტეხდა. შორს რომ არ წავიდეთ. შემძლია დავასახელო ისტორიული ფაქტი, რომელიც მოხდა ჩვენი თვლის წინ.

1886 წ., როცა ბოლგარეთში ფილიპოპოლის რევოლიუცია მოხდა და ამ ქვეყანამ რუმელების აღმოსავლეთი შამოიერთა, ბულგარების ნათესავმა, თავისუფალმა სერბიამ, დახმარების და მიშველების მაგივრად, თვის საკუთარ მშას ომი გამოუცხადა იმიტომ, რომ გაერთიანებულ ბულგარებისგან ჩემი მამულის—სერბიის საზღვრებს დიდი ფათერაკი და განსაცდელი მოეღისო...

მაგრამ ბულგარიის მამაკმა მთავარმა ალექსანდრე ბატენბერგმა საშინლად დაამარცხა სერბიის არშია სლიენიკის მინდვრებზე, რისთვისაც იმას ისტორიაში „სლიენიკის გმირი“ უწოდეს...

გულკეთილი.

შემდეგი იქნება.

მაზრაპეტის სნეულება.

აღმოსავლეთის თქმულება.

(რუსულიდან გადმოკეთებული).

(დასასრული 1).

III.

— სად მივყევარ? შეეკითხა ახენნორიბი.

— იქ, სადაც არის კაცის მწუხარება. და რადგანაც ის მთელ დედამიწაზე გამეფებულია, ამიტომ ჩვენთვის სულ ერთია, სადაც უნდა წავიდეთ. გავყვეთ თუნდ აი ამ ვიწრო ქუჩას: აქ ჩრდილია და შენთვის უფრო ადვილია სიარული.

გაიარეს იმ ვიწრო ქუჩაზე, რომლის იქით აქეთ მხარეზე გაშენებული იყო ღარიბთა პატარა ქოხბახები. გაიარეს ორმოცდა ათი ნაბიჯი და ერთი ქოხის კარებში დაინახეს მწარედ—გულ ამოსკვნით—მტირალი ათი წლის ქალიშვილი. გამხდარი, ძველ ქუჩკიან ძონძებში გახვეული, ის იჯდა, თავი მუხლებზე დაედვა და ისე საცოდავად ტიროდა, რომ მისი შავგრემანი სხეული სულ ერთიანად თრღოდა. სიბრალულმა, რომელიც ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში არ გამოცხადა, მაზრაპეტს გულზე უჩხვლიტა, და მან აღმოცერად შეხედა თავის მოგზაურს, თითქო ის მოხუცს კითხავდა, ეს რა ამბავიაო. ამოდენ ხანს, როცა ის დადიოდა თავის ამალით გამფრინვალე ეტლით და ისიც დიდრონ ქუჩებზე, მას არასოდეს არ შეხვედრია ასეთი საცოდავი ადამიანი და ახლა ამ ქალის შეხედულებამ შეაწუხა იგი.

— ჰკითხე მას, რა დაემართა, და შეეწიე მას, თუ შეიძლება,—ჩუმათ უთხრა მას ტორიბალმა. მაზრაპეტი მივიდა ბოვშთან, წყნარახელი შეახო მის გამქალტყავებულ მხარს და აღერსით ჰკითხა:—რას სტირი, ჩემო შვილო? ქალი შეკრთა, გასწორდა, ერთ წამს შეშინებული თვალეი შეაქყიტა ამ ორ მგზავრს, მერმე ათრთოლებული ტუჩებით წარმოსთქვა:

— დედა ჩემი ავით არის, ძლიერ ავით...

1) იხ. „ზინ. საქ.“ № 12—13.

მე კი არაფრით არ შემოძლია მოხმარება...ის, უთუოთ, მოკვდება...

— რატომ არ მოიწვიე ექიმი?

— მე ყველა ექიმებს ვთხოვე, დაჩოქილი ვეველრე ყველას, მაგრამ ისინი არ წამომყვენ, ბევრი მაგინეს კიდეც; ჩვენ არ შეგვიძლია მივსკეთ რამე; ჩვენ თვითონ არაფერი არა გვაქვს...

— შემიყვანე მე დედაშენთან, — ჩაერია ლაბარაკში მოხუცი. — მე თუმცა ექიმი არავარ, მაგრამ ჩემ სიცოცხლეში ბევრი ავთამყოფები მინახავს და შემოძლია ავთამყოფების ექიმობა, და მასთან კიდეც ამ ჩემ პარკში ყოველგვარი წამლები მაქვს. გახარებული ქალი წამოხტა, გადასწია დახეული შალის ფარდა, რომელიც იმით სადგომის კარების მაგიერობას ასრულებდა, და შეიყვანა ისინი პატარა მიწურ ქონში. მიიხედ-მოიხედეს ამ ბნელ ქონში და ერთ კუთხეში დაინახეს დაყრილი. ჩალა და მახე გამხდარი, მისუსტებული ხმით მკვნესარე აღამიანი.

ტორიბალი მუხლებზე დაეშვა, ავთამყოფი ყურადღებით გაშინჯა, შერე ადგა, მიუბრუნდა ქალს და უთხრა: „დედა შენს საშიში ავადმყოფობა არა აქვს, მაგრამ ის მიტომ არის ეგრე სუსტად, რომ ხშირად შიმშილს ნათმენა და, სჩანს, ძალზე მეტი უმუშავანია.“

— რასაკვირველია, ძალზე მეტი! მიუგო ქალმა და ხელახლა ატირდა. — ჩვენ ორივე ბევრს ვმუშაობთ და არასოდეს არა ვართ მაძლარი.

— ყველა ეს ადვილი გასასწორებელია, — სთქვა ახენნორიბმა. — აი ამ ფულებით იყიდე ყველაფერი, რაც თქვენთვის საჭიროა. ხოლო როცა დედაშენი მოჩიება, ორივე მოდიტ სასახლეში, — მე იქ სამზარეულოში ვმსახურებ და შემოძლია, იქ თქვენ მებაღეებათ დაგაყენოთ. მაშინ თქვენ ყველაფერი გექნებათ.

პირველად ქალი არ ერწმუნა მოულოდნელ ბედნიერებას; შერე კი დაეარდა მიწაზე, მოეხვია მზრახვეტს ფეხებზე თვისი პატარა ხელებით, დაუწყო კოცნა და იძახოდა:

— ოჰ! გმადლობ, პატონო, გმადლობ!

ღმერთი შეგეწიოს შენ ყოველ საქმეში, კურთხეულ იყოს ყოველივე შენი სურვილი!

ახენნორიბმა კიდეც იგრძნო, თითქო რაღაცამ უჩხვლიტა მას გულზე, მაგრამ ეს ჩხვლეტა იყო ტკბილი და საამო.

წყნარა განითავისუფლა თავი ბავშვის ხელებიდან და ტორიბალთან ერთად ხელახლად გამოვიდა ის ქუჩაზე.

— როგორ გრძნობ თავს, მბრძანებლო — შევეითხა მოხუცი. — დასვენება ხომ არ გინდა?

სრულიად კარგად: დილითგან მე ძალა მომემატა, ალბად, ცოტა გავლა ჩემთვის სასარგებლო იყო.

— დიად, სწორეთ ამიტომ, უპასუხა ტორიბალმა და კმაყოფილების ღიმილით ძლივს შესამჩნევად გაიღიმა.

განაგრძეს გზა.

გაიარეს რამოდენიმე ვიწრო და პატა ქუჩა და შერე გავიდნენ განიერ და შორ მიმავალ ქუჩაზე, რომლის იქით აქეთ იყო აღშენებული მშვენიერი დიდრონი სახლები მდიდრებისა, და სახლებს გარშემო მშვენიერი ბაღები, საიდანაც მოდიოდა წმიდა მშვენიერი ყვავილების და ხეების სურნელებით გაელენთილი, ჰაერი, რომელსაც მგზავრები სიამოვნებით სუნთქავდნენ. ამ დროს ერთ ეზოდან, რომელსაც ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, იმათ მოესმათ საცოდავი კვნესა, ტირილი, ყვირილი, ბავა-ბუვი და ვილაკას გაჯავრებული ბუზღუნნი.

ახენნორიბი გაჩერდა და ყური დაუგდო.

— იქ ვილაკას სცემენ! აღელვებით წარმოსთქვა მან, — როგორმე უნდა შევიდეთ და გავიგოთ, საქმე რაშია.

— მე კედელში კარები შევნიშნე, ვსცადოთ იმ კარებში შესვლა, მბრძანებლო, უთხრა ტორიბალმა. ისინი უკან გაბრუნდნენ და, მართლაც, კედელში ნახეს პატარა-კაცის სიმაღლე კარები. კარები დაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ ძალით შეამტკრიეს და შევიდნენ ბაღში.

კვნესა-ტირილი ახლა უფრო ცხადად მოესმათ და, სჩანდა, იქ გაშენებულ ვარდის ბუჩქებს იქით იყო. მგზავრებმა შამოუარეს ბუჩქ-

ქებს და გავიდნენ ქვიშა მოყრილ მოედანზე, რომელზედაც დაინახეს, რომ ერთი ჩასუქებული, ხანში შესრული კაცი, გაბოროტებული სახის მექონი შეუბრალებლად სცემდა მშვენიერ ახალგაზრდა ქალს. დაეხვია ხელზე ქალის გრძელი აბრეშუმის მსგავსი თმა და ათრევდა საცოდავს მიწაზე და წიხლებით სცემდა, ასე რომ მისი თეთრი კაბა სისხლით და მტვერით იყო მოსვრილი; მის გაყვითლებულ დაკარგულ პირის სახეზე მდუღარე ცრემლი ჩამოდიოდა.

რას შერები? როგორ ბედავ შენ ვგრე მის ცემას? დაუყვია გაბრაზებულმა მაზრაპეტმა და მივარდა მას.

ჩასუქებული კაცი პირველად, როცა მან მის წინ დაინახა კაცები და ვერ გაეგო საიდან გაჩნდნენ ისინი, დაიბნა, გონება გაეფანტა, მაგრამ მერმე თავისი მსხვერპლი ხელითგან გაუშვა და მაზრაპეტს და ტორიბალს მიუბრუნდა და შეჰყვია:

— თქვენ ვინა ბრძანდებით? საიდან მობრძანებულხართ? თქვე მანაწაწალებო, ქურდებო! აი შე თქვენ გაჩვენებთ სეირს! ეი, ბიჭებო, აქ მოდით! ახენნორიბმა ისეთი დიდებული სახის გამომეტყველება მიიღო და ისეთი მიხერა-მოხერა გამოიჩინა, რომ ჩასუქებული კაცი უნებურად გაჩერდა და დადუმდა.

— შე შენ გიცნობ, — უთხრა მაზრაპეტმა: — შენ ცნობილი გაიძვერა ხარ, გამდიდრებული თაღლითი თირუხების ვაჭრობით. კარგად შემომოხედე: შეიძლება, შენც მიცნო შე.

ვაქარმა, რომელმაც წინეთ მარტო უბრალოდ ჩაცმულობას მიაქცია ყურადღება, ყურადღებით დააცქერდა მას პირის სახეზე. პირველათ მისი ქონ მორეული თვალები განცვიფრებისაგან ფართოდ გაახილა, მერე თვალებში გამოეხატა შიში, ბოლოს, ჩასუქებული ლოყები აუთრთოლდა, — უცბად მუხლისთავეებზე დაეცა და საცოდავთ შესტირა: „ოხ! მბრძანებელი! ოხ! ბრწყინვალე ხელმწიფეო ჩემო! განა შემეძლო, მეფიქრებია, რომ ჩემი საცოდავი სადგომი ღირსი გახდებოდა შენი ღვთაებრივი მობრძანებისა?

— შე თვითონ არ ეფიქრობდი, შეურა-

ცხების კილოთი უბასუხა მაზრაპეტმა. — აღექი და მართალი მითხარი: შენ ვგრე უწყალოთ რათ სტანჯავდი ამ საცოდავ ახალგაზრდას?

— ეს ჩემი გერია, მოწყალო ჩემო ბატონო, ის მსუბუქი ჭკუისაა, მე ვსჯიდი მას მისი ცუდი ყოფაქცევისთვის და შეუპოვრობისათვის.

— სტყუევი! ცრემლისაგან ათრთოლებული ხმით წამოიძახა ქალმა. — ქვეყანაზე ვერავენ ვერ გაბედავს სთქვას, რომ ცუდად ვიქცევი. მე წყნარი ქალიშვილი ვარ, მე არ მინდა გავყვე იმ მოხუცს, რომელსაც მე თავზე მახვევს მამინაცვალი, მე მიყვარს ჩემი იბნუცარი და მე სიკვდილი მირჩევია მის ღალატს. მთელი ჩემი დანაშაულობა იმაშია, რომ ის მოხუცი ჩემ მამინაცვალს პირდება ჩემი გულისთვის ძვირფას საჩუქრებს, ხოლო ჩემი არჩეული კი ღარიბია. დამერწმუნე, ბატონო! ვფიცავ მამაჩემის ხსოვნას, რომ მენამდვილ მართალს გეუბნები! დამიფარე, თუ შეგიძლია.

— დამშვიდდი, ჩემო შვილო, — უთხრა მაზრაპეტმა, — მე შენი მჯერა, და შენ ხვალვე იბნუცარის ცოლი იქნები. შენც ერწმუნე ახენნორიბის მტკიცე სიტყვას. მერმე ახენნორიბი მიუბრუნდა ჩასუქებულ კაცს და უთხრა: „შენ კი ფიცხელო და გაუგებარო კაცო, გამიგონე: ხვალ ჩემი მოსამსახურეები მოვლენ აქ შენი გერის წამოსაყვანად ჩემ სასახლეში, სადაც მე მას დავაქორწინებ, და თუ შევიტყვე, რომ მას თუნდ ერთი ღერი თმა ჩამოუარდა თავიდან, ვაი შენს ღღეს! ამ დროიდან ის ჩემ მფარველობის ქვეშ იმყოფება და თითოეულ შეურაცხყოფას, თუ მას მიაყენებს ვინმე, მე ჩავთვლი ჩემ პირად შეურაცხყოფად. ახლა კი მშვიდობით. ჩვენ ნუ გავგაცილებთ. ჩვენ წავალთ ისე, როგორც მოვედით.

მაზრაპეტი და მწყემსი გამოვიდნენ ბაღიდან და განაგრძეს თავიანთი გზა. ისინი მალე მივიდნენ ერთ ტბის ნაპირზე, რომელიც ქალაქის განაპირზე იყო და დაინახეს ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ზურგზე ეკიდა გოდორი, უეჭველად, გახსილი რაღაც მძი-

მეთი, ამიტომ რომ საცოდავი დედაკაცი წელში სრულიად მოეღუნა ტვირთს. ის ყოველ წუთში ბორძიკობდა და ბოლოს მოქანცული და ძალა გამოლეული, დაეცა მუხლის თავებზე და საცოდავად ატირდა. მაზრაპეტი მივარდა მას, მოხსნა ზურგიდან გოდორი, რომელიც, აღმოჩნდა, სავსე იყო სოველი, ახლად დარეცხილი ტანისამოსით.

— სად ცხოვრობ შენ?— შეეკითხა ახენორი და თან ფეხზე წამოაყენა,— მომეცი, მე მიგიტან ამ გოდორს შენ სახლში.

— გამადლობ, კეთილო კაცო!— უბასუხა გახარებულმა დედაკამ. აი ჩვენი სახლი იმ ორ ლედვს იქით არის.

მაზრაპეტმა შეიტანა გოდორი პატარა სახლის ეზოში და სრულიად ღონე მიხდილი იქვე დაეშვა ქვაზე, რომელიც ქის პირად იდგა.

— ახ, საცოდავო, ჩემი გულისთვის როგორ დიდალენ! შეწუხებული კილოთი წარმოსთქვა დედაკამ.— აჰა, ცივი წყალი დალიე, ეს გაგაგრილებს.

ახენორიბმა ხარბად გამოკალა თიხის დიდი სასმისი, მაშინვე მოსულიერდა და დაუწყო უცნობ დედაკაცს ლაპარაკი:

— რა არის, რომ შენ, ასეთი მოხუცებული, ატარებ ასეთ მძიმე ტვირთს? ნუ თუ სახლში არავინ გყავს შენზე უნცროსი?

— არავინა მყავს... მყავდა შვილი-შვილი, ახალგაზრდა, ღონიერი...

— მერე მოკვდა?

— არა, ციხეშია, — უნებურად უბასუხა მოხუცმა დედაკამ, თავი დალუნა და ტირილი დაიწყო.

— რა დაშავა?

— არაფერი არ დაუშავებია, მეზობლის შვილმა, რომელიც დიდი უკუღმართია, მხედართმთავარს ძვირფასი ბეჭედი მოპარა, ჩემდა საუბედუროთ, იმ დროს ჩემი შვილი-შვილი მხედართმთავრის სახლში იყო, და მსაჯულმა ისე მოაგვარა საქმე, ვითომც ჩემი შვილის-შვილი იყო დამნაშავე, ხოლო მდიდარი მეზობლის შვილი კი უდანაშაულოდ გამო-

იყვანა. და აი ახლა მას ციხეში ამოდის სული, და ვინ იცის ცოცხალი გამოვა იქიდან... ეს სთქვა, მოხუცი განზე მიდგა და დაიწყო ტირილი.

ახენორიბი ადგა და დამშვიდებული კილოთი უთხრა მას:

— სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდები. რაც სთქვი, თუ ყველაფერი მართალია, შენი შვილის-შვილი ხვალვე შენ მოგივა, და სიმართლეს ყველა გაიგებს. მე გატყობ, რომ შენ ჩემი სიტყვები არ გჯერა. მაგრამ ვიცი, რატომ არ გჯერა, — ღიმილით დაუმატა მან, — შენ გგონივარ მე ვილაც ხარაზი, რომელიც თვითონ ერიდება ძლიერებთან და მდიდრებთან საქმის დაქერას. მაგრამ, ეგ არაფერია, ხვალ დაიჯერებ, რომ გადაეხვევი შენ შვილის-შვილს. წავიდეთ, ტორიბალ, მე დავისვენე.

ისინი ხელახლა გაუდგენ გზას, და მთელი დღე ასე დაიარებოდა მაზრაპეტი ქალაქში, ეწეოდა გაქირვებულებს, რომლებსაც კი შეხედებოდა გზაზე და რითაც კი შეეძლო, ყველას ანუგეშებდა, ამხნეებდა და აბედნიერებდა.

მან დაივიწყა შიმშილი, წყურვილი, დაღლილობა, სიტყვ. გახურებული ქვიანი გზის სრულიად შეიპყრო კაცობრიობის სხვა და სხვა დაუსრულებელ უბედურების მძიმე სანახაობამ. ის მხოლოდ მაზე ფიქრობდა, თუ როგორ დააცხროს, როგორ მოსპოს, ეს უბედურება. მთელი თავის ძალ ღონით, გულით და გონებით ამის ფიქრებს მიეცა. ბოლოს ტორბალმა გაახსენა მას, რომ მზე მალე ჩავა და სასახლეში დაბრუნების დრო არის, მით უმეტეს, რომ ერთ დღეს არ შეიძლება შეაშროს ყველას ცრემლი, რომელიც იღვრება ამ დიდ ქალაქში.

ახენორიბი დამოკრილა ტორიბალს და ისინი დაბრუნდნენ სასახლეში, საიდანაც დღეს დილით გამოვიდნენ.

IV.

მხოლოდ იქ, როცა მაზრაპეტი ჩაჯდა თავის ძვირფას საფარძელში, რომელიც იდგა ბანზე, მან იგრძნო, თუ რა ძლიერ დაღლილია ის, და მასთან ერთად მას ძლიერ მოუხდა ქა-

მა. თავის მოსამსახურეების გასაოცრათ, მან უბრძანა მოხუცს დამჯდარიყო მასთან - ერთათ სტოლზე ვახშმათ და, როცა მიართვეს ვახშამი, ის ხარბად მივარდა მას და დაუწყო ჭამა. როგორც კი გაძდა თა ჩვეულებრივი ღამის დაბანა გაათავა, ის ძლივს მივიდა თავის საწოლთან, დაწვა და დაიძინა ისე მაგრად, როგორც მკვდარი.

ეგრე ეძინა ახენნორიბს მთელი ღამე და, როცა შვე უკვე ცახე კარგა მალა ამოსულიყო, მაშინ გაიღვიძა სრულიად გამხნეველებლმა და განკურნებულმა. იმ საათშივე უბრძანა მოსამსახურეს, ტორიბალის მოყვანა და, როცა ტორიბალი მოვიდა, სიამოვნებით დაუკრა თავი მისი საღამის პასუხად და წარმო-სთქვა:

— შენ განკურნე მე, ბრძენო მოხუცო. ეხლა მე უნდა აღვასრულო ჩემი დანაპირები. მთხოვე, რაც გინდა ყველაფერი.

— მე არაფერი არ მინდა, მბრძანებელო! წყნარად უპასუხა მწყემსმა, — მაგრამ მე გთხოვ შენ სხვების მაგიერ. ისე მოიქეც მთელ შენ სიცოცხლეში, როგორც გუშინ იქცეოდი: თავის თავი დაივიწყე და ყველა უბედურნი და გაჭირვებულნი ანუგეშე, უძლოურნი დაიფარე, მშიერნი ასაზრდოვე, დაჩაგრულთ კრემლები მოწმიდე და მტკიცე ხელით შეაჩერე ძლიერთა და ბორბტთა ცუდი საქმისადმი მიდრეკილება...

— ჩემთვის მით უფრო ადვილია შენი თხოვნის აღსრულება, — მოწყალებით უპასუხა ახენნორიბმა, — რომ მის აღსრულებაში ჩემთვისაც რაღაც სიამოვნება იმალება, რასაც მე წინათ არც კი ვფიქრობდი.

— ახლა კი, — უთხრა ტორიბალმა, — ნება მომეცი მბრძანებელო, წავიდე ჩემ ცხვრებთან, ხოლო შენ ყოველ დღეთა ცხვრებისა შენისათა გფარვიდეს ყოველის შემძლებელი უზენაესი არსება!

მოხუცმა დაიკავა თავის კორხლებიანი ჯოხი და წელი ნაბიჯით გამოვიდა სახლიდან.

იმ დროიდგან ის არც არავის უნახავს და არც არავის არაფერი არ გაუგონია მახე. მაზრაპეტი, რომელმაც ღრმა მოხუცებულებამ-

დი იცოცხლა, არაოდეს არ ივიწყებდა თავის განკურნებელს.

ის, მიუხედავად სხვა და სხვა დაბრკოლებებისა, წმიდად იცავდა თავის სიტყვას და მისდამი რწმუნებული მხარე, რომელსაც ის მართავდა სიყვარულით, მაგრამ წინანდებულათ მტკიცეთ, წარმოადგენდა სხვა მხარეებთან შედარებით ქვეყნიურ საშოთხეს მთელ სპარსეთის სამეფოში, რომელიც საესე იყო ურთიერთ შორის მტრობით.

არქიმანდრიტი ნესტორი.

სამღვდლოების დაჯილდოების შესახებ.

(რუსულით.)

ერთ საქირ-ბოროტო და დღიურ საკითხათ ამ ბოლო დროს გარდიქა საკითხი სამღვდლოების დაჯილდოების წეს-რიგის შეცვლის შესახებ, რომლის ყოველმხრივ მოსაწესრიგებლათ უწ. სინოდთან უკვე დაარსდა კომისია; მაგრამ კომისიის მუშაობა იმაში იხატება, რომ უფრო ფართო უფლებებს ანიჭებს მღვდელმთავრებს ჯილდოების გაცემაში და ამ ნაირათ ამ საკითხში არაერთი არსებითი ცვლილება არ შეაქვს.

რომ ეხლანდელ დროში დიადი მოძღვრული სამსახური რაღაც აფერისტურ საშვალეებით გარდიქა ეს ცხადზედ-უცხადესია და ჭეშმარიტებაა, ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ეს ზეციური ანგელოზისადარი სამსახური მეტის-მეტად გამიწიერდა და ყოველივე ამაში უპირველესი თუ არა, უმთავრესი დანაშაული მაინც მიუძღვის სამღვდლოების ჩინ-ორდენებით დაჯილდოებას.

ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიის შვილნი დაიცვას და დაიფაროს ზნეობის ისეთ ცუდ თვისებისაგან, როგორიც არიან: მლიქვნელობა, მედიდურობა, თავის-ქება-მოწონება, ქვებუდანობა, მოსყიდვა, შური, განრისხება-გაბოროტება, სიძულვილი და დაუდევრობა თავის მოვალეობის ასრულებაში, — სამღვდლოების

დაჯილდოების წესი ბადებს და უფრო ანვიტარებს ამ „თვისებებს“.

„არსებული წესის წყალობით,—ამბობს ერთი უდიდესი იერარქი, წვერი უწ. სინოდისა,—ყველა ჩვენთაგანი დაწყებული სოფლის მეღვინიდან უწ. სინოდის წევრამდე წარმოვადგენთ ტიპურ „ჩინოვნიკებს“. ჩვენც ისე, როგორც უკანასკნელნი თავიანთ ვცემთ, ვთხოვლობთ და იმას კი არ ვცდილობთ, რომ კეთილსინდისიერად აღვასრულოთ ჩვენი ვალდებულება, არამედ იმას, თუ როგორ ვასიამოვნოთ იმ პირებს, რომლებზედაც დამოკიდებულია ჩვენი ჯილდოზე წარდგენა. ამნაირათ მღვდლები მლიქვნელობენ და ელრიტინებიან ბლადოჩინებს და ეპისკოპოსებს, ეპისკოპოსი კი სინოდის ობერ-პროკურორს და სხ. ჩვენ ისე შევეჩვიეთ არსებულ წესს სამღვდლოების დაჯილდოებისას, რომ ვერც კი ვამჩნევთ, თუ როგორ წინააღმდეგობაშია ის ქრისტეს მოძღვრებასთან“.

ხშირად ჯილდოს მიღება დამოკიდებულია ისეთ პირებისაგან, რომლებთაც სრულიად არავითარი კავშირი არ აქვთ ეკლესიასთან: აგრეთვე, ხშირად, ჯილდოს იძლევიან ისეთ სხვადასხვა „კერძობით და ბნელ“ ხასიათის მოღვაწეობისათვის, რომელთაც მოძღვრობასთან არავითარი ერთობა არა აქვთ. ძლიერი და „სფერებში“ გავლენის მქონე ადამიანისათვის სამღვდლოების დაჯილდოების წესი წარმოადგენს სუსტ, მაგრამ პატივის მოყვარე პირების, ყოველმხრივ გაყვლეფის საშუალებას. აქედგან გამომდინარეობს სამწუხარო შედეგი: სამღვდლოება, ხორცი-ხორცთაგანი და ძვალი-ძვალთაგანი ამა „ქვეყნისა“, უმეტეს შემთხვევაში „ზრუნავს მრავალზედ“ და უყურადღებოთ სტოვებს თავის პირდაპირ დანიშნულებას; შწყვესი მიდის არა სამწყსოს წინ, არამედ მიჩანჩალებს მის კულში.

ახლა განვიხილოთ იურიდიული საფუძველი არსებული წესისა. სასულ. კონსისტორიის წესდების მე 91 მუხლში ვკითხულობთ: „ის სასულიერო პირები, რომლებიც მსახურობენ მუყაითად და ასრულებენ თავიანთ მოვალეობას

ერთგულათ და რომლებიც განირჩევიან სხვებისაგან თავის მოღვაწეობით ეკლესიის სასარგებლოთ, ეპარქიალურმა მთავრობამ უნდა წარუდგინოს უწ. სინოდს და იშვამდგომლოს მათ დაჯილდოების შესახებ“. ამ მუხლში ნათლად გამოსჭვირს ორი დებულება: მუყაითად და ერთგულად გატარება მოძღვრული სამსახურისა და მოღვაწეობა ეკლესიის სასარგებლოთ. მაგრამ ესენი ხომ სამღვდლოების პირდაპირი დანიშნულებაა? სამღვდლოება ვალდებულია ასრულოს როგორც ერთი, ისე მეორე; ამისათვის ის მოწოდებულია თავისი წოდებით და მდგომარეობით; თორემ ამათ გარდა მეტი რა ვალდებულება რჩება მას?! რაში მდგომარეობს მღვდლის ის სამსახური, რომლის ერთგულათ და მუყაითად ასრულებისათვის ის უნდა დაჯილდოვდეს? უწინარეს ყოვლისა იმაში, რომ მან ცხოვრებაში უნდა გაატაროს და განამტკიცოს ქრისტიანული ზნეობის უმთავრესი საფუძველი სიტყვით, საქმით და თავისი პირადი მაგალითით. „სახე ექმენ მორწმუნეთა მათ“ სიტყვითა, სვლითა, სიყვარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (ა. ტიმ. 4, 12), ბრძანებს მოციქული და ყოველივე ამისათვის რაიმე ნივთიერი ჯილდოებით დაჯილდოებას კი არ აღგვითქვამს, არამედ წინაუქმობ ამისა, ბრძანებს: „რამეთუ ვახარებ თუ, არა არს ჩემდა სიქადულ, რამეთუ უნებელი ზედა მამს მე. და ვაი არს ჩემდა, არა თუ ვახარებდე“ (ა. კორინ. 9, 16). ამის შემდეგ გაუგებარი რჩება, თუ რა საფუძველი აქვს ამ დაჯილდოების წესს. ადამიანს ისეთ რამეს უთვლიან სამსახურში, რაც მის წოდება-დანიშნულებასთან განუყრელია, რაც მის პირდაპირ დანიშნულებას წარმოადგენს და ურომლისოთაც ის თავის ადგილზე ვერ იქნება, ეს იმას გავს, რომ ადამიანი აქონ და აჯილდოონ იმისათვის, რომ ის იფარავს თავს სიცივისაგან და შიმშილისაგან. საღვთო წერილის ზემოთ მოყვანილ სიტყვებს რომ მიუმატოთ იესო ქრისტეს შემდეგი სიტყვები: „ნუ უკვე მადლი-იყრასა მონისა მის, რამეთუ ჰყო ბრძანება მისი? არა ვგონებ“—(ლუკ. 17, 9), მაშინ აღ-

ვილად დაერწმუნდებით, რომ კონსისტორიის წესდების მე 91 მუხლს ადგილი არა აქვს.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ ხსენებულ მუხლს ყავს სახეში თავიანთი ვალდებულების და სამსახურის მუყაითად აღმასრულებელიო, მაგრამ მაშინ შეუძლებელია მოინახოს ლოდიკური კავშირი ამ აზრსა და იერემიას 48 თავის მე-10 მუხლის სიტყვებს შუა: „წყვეულ იყავნ მოქმედი საქმისა უფლისასა უღებებით“ ანუ დაუდენველათ და არა გულმოდგინეთ, და აგრეთვე იესო ქრისტეს სიტყვის შუა: „და რომელი წარგატყვედეს შენ მილერთ, მიჰველ მისთანა ორიცა“ (მათ. 5, 4). აი ის უმთავრესი საფუძვლიანი, რომლებზედაც ჩვენ ვამყარებთ ჩვენ უარყოფითი დასკვნას სამღვდლოების დაჯილდოების შესახებ. ამ ქვეყნიურათ საუკეთესო და ერთადერთ ჯილდოთ მღვდლისათვის უნდა ჩაითვალოს ის კეთილი ნაყოფი, რომელიც მოიტანა მისმა სამსახურმა და უკიდურეს შემთხვევაში კი შეგნება იმისი, რომ პატიოსნად და შეძლებისა დაგვარათ ასარულა მან თვისი ვალდებულება.

რომ სამღვდლოების მოწოდებას და მის სამსახურს არ შეეფერება ჯილდოები, ეს უფრო ნათლად გამოჩნდება თუ განვიხილავთ მნიშვნელობას იმ „დასაჯილდოებელ ნიშნებისას“, რომლებიც დაწესებულია სამღვდლოებისათვის. ზოგ მათგანს, როგორც მაგ. ექვერს, სკუფიას და კამილავეკას, აქვთ სიმბოლიური და კანონიური მნიშვნელობა. ძველ აღთქმის „ბარტყულები“ ანუ „ვიარშევანგები“ (ლევ. 8, 13). რომელთა ნაცვლათ ახალი აღთქმის ეკკლესიაში შემოიღეს კამილავეკა და მიტრა, იყენენ თანდაყოლილი ნიშნები ღვთის მოსამსახურისა და არ იყენენ დამოკიდებულნი არც სამსახურის ხნოვანობაზე და არც პირად ღირსებაზე: ესა თუ ის პირი თუ გახდა ღირსი მღვდლობისა ბუნებრივად, მაშინ კიდევ შეიქნა ღირსი, რომ ატაროს ხსენებული წოდების ნიშნებიც.

მსაჯული მაგ., როცა ასრულებს თავის სამსახურს, იკიდებს ჯაჭვს თავის პირად ღირსებების მეტნაკლებობის მიუხედავად; ის მოქმედობს მისი უღიღებულესობის ბრძანებით და

არის შემოსილი მთელი უფლებებით, უპირატესობით და ფორმით სამსახურში მიწვევის მომენტიდანვე. მღვდელი კი ასრულებს თავის სამსახურს მადლითა და უფლებითა იმ უღიღებულესობისა, დიდება და პატივი რომლისაც მოითხოვს, რომ მისი მოსამსახურე სამსახურის ასრულების დროს იყოს დაწესებულ ფორმაში, რომელთაც ეკუთვნის ზემო მოყვანილი ექვერსკუფია-კამილავეკებიც. მღვდლისათვის საჭირო პირადი ღირსებები მის კურთხევის შემდეგ კი არ უნდა იძიებოდეს და ფასდებოდეს, არამედ უნდა იქნეს გათვალისწინებული მის ხელდასხმადის; „ეპისკოპოსი ხელთა ადრე ნუ ვის დაასხამს“ (ტიმ. V, 22), არამედ „პირველად მკაცრითა განხილვითა გულს მოდგინეთ გამოსცდიდე“. (მღვდლის გრამატი).

შემდეგ ამისა, ის პირი, რომელიც „მიწოდებული“ იქნა „წმიდასა და დიდებულსა სიმაღლესა მღვდლოებისასა, შეყვანებად შინაგანსა კრეტსაბმელსა წმიდათა წმიდათასა“..... (ლოცვა V ზეთის კურთხევაზედ) ბლაროჩინის, ან სახალხო სკოლების ინსპექტორის ან რომელიმე შეიძლება სხვა რჯულის მექონე მემამულის უპროტექციოთ არ ხდება ღირსი... ექვერისა და კამილავეკისა, თუმცა ხელდასხმამდე ეპისკოპოსმა „პირველად მკაცრითა განხილვითა გულსმოდგინეთ გამოსცადა“.

აქსიოს უღიდესში, ანაქსიოს წკრილმანში თავდაპირველად ეპისკოპოსმა ღირსყოფილმა უმთავრესში, ხოლო შემდეგში თვით მანვე და ბლაროჩინმა ან სხვა რომელიმე ჩინმა კი არ სცნა ღირსათ. მეორე ხარისხოვანში ის მიზანი, რომელიც აქვს დაჯილდოების წესს, უფრო ადვილათ განხორციელდება წინააღმდეგი წესის შემოღებით, მუყაითების დაჯილდოების მაგივრად — ზარმაცების დასჯით. იმ მღვდელს, რომელიც ბეჯითი და მუყაითი არ არის, შეიძლება არ მისცე განსაზღვრულ დროის განმავლობაში ექვერ ან კამილავეკა, რაც შეეძლება დროებით მის მღვდელ-მოქმედების აღკრძალვას, რადგანაც არ ექნება გარეგანი ნიშნები ღვთის მოსამსახურისა. ასეთი წესი უფრო მიზან-შეწყობილი იქნება, რადგანაც გააბეჯითებს ზარმაცებს, რაც

ებლა არ ხდება და ამასთანავე არ დაამცირებს მღვდლის იმ ღირსებას რომელიც ეკუთვნის ყოველ მღვდელს ხელდასხმის წუთიდანვე.

აქვე არ შემოძლია გვერდი აუარო ამ წესის ერთ დამახასიათებელ თვისებას: სამღვდლოებაში არიან დაჯილდოებულნიც და არიან დასჯილნიც, მაგრამ ამასთანავე არიან ისეთნიც, რომელნიც არც ერთს და არც მეორე ჯგუფს არ ეკუთვნიან; ისინი არც დაჯილდოებულნი არიან და არც დასჯილნი. რანაირათ დააფასებს თვისი სამწყსო ისეთ მოძღვარს, რომელსაც არც სჯიან და არც აჯილდოებენ? ზარმაცია ის თუ მუყაითი? როგორ გამოვიცნოთ ეს? დაე ამაზე გვიპასუხონ თვითონ იმ მწყემს-მთავერებმა და ბლალღოჩინებმა, რომელთაც ეს წესი სავაჭრო საგნათ გაუხდიათ.

მლ. სვეტიც. კველიძე.

ქართული საეკლესიო გალობის დამახინჯება.

დ. ჩხარე. გასაკვირველია რომ სოფლად ხშირად ქართული საეკლესიო გალობა გადაგვარ-გადამახინჯებულ გზაზედ ადგია და ჩვენი მღვდლებ-ბლალღოჩინები კი ყურსაც არ ათხოვებენ ხოლმე. მაგრამ რა მამების ბრალია, როდესაც სამრევლო შკოლების რევიზორები დადიან, რომლებსაც გალობის სმენა სრულებითაც არ აქვთ და უვიც მასწავლებლებს იწონებენ, გალობის გამო, სხვაზედ მაღლა აყენებენ. შესაძლებელია ეგრეთწოდებული „ქანქარიც“ შერებოდეს—აწონებდეს.

ერთი ამისანა გარემოების მოწამე მე თვითონ ვარ. ამ მოკლე დროში შემთხვევით კვირა დღეს დავესწარი ს. ჩხარეში და გავიგონე თუ არა, რომ იმ დღეს ადგილობრივი ქალების სამრევლო შკოლის მოწაფეები იგალობებენო, სწორეთ, როგორც მოტრფიალე გალობისა, გავეშურე ტაძრისაკენ, მით უმეტეს რომ სასულიერო კლასის მეორე მოსამზადებელიდამ დაწყებული დღემდის ქართულ და

რუსულ საეკლესიო გალობაში ვარ, ხან კიდევ ელოტბარობ. ვისმენდი რუსულ-ქართულ გალობას ეკლესიაში და სწორეთ ვერ გამეგო გალობის კილო. დავინტერესდნო საილამ შეითვისა მასწავლებელმა ეს გალობა აქო და ბოლოს შევიტყვე, რომ აღისუბნის ორ-კლასიანი შკოლიდან გამოუტანია. მინდოდა გამეცნო, მაგრამ ვიციდი, ვერ მოვიტმენდი, ვეტყოდი „უძალილო ქვეყანაში ყოფილხარ და ჯოხი არ დაეკირდებათქო“ და სკანდალს ამიტებდა. მინდოდა მღვდლის ნახვა, მაგრამ ამხანაგმა მითხრა: ისე ყავს მასწავლებელს შეშინებული მთავერობასთან ჩუმად დაბეზლებით, რომ მისს—მასწავლებლის—შესახებ სულსაც ვერ დაბერავსო.

იმედია ზემო გარემოებას მიაქცევს ყურადღებას ადგილობრივი მღვდელი, არ შეუშინდება მასწავლებლის დანოსებს, და ყველა ქართული გალობის მოყვარული გამოესარჩლება მას.*)

მოწაფე.

სიციყვა მღვ. ბ. ვაშაძისა—მლ. მიხ. ჯაფარიძის ქსედრის წინ.

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ!“

მაღალ-ღირსო და ყოვლად პატიოსანო მამაო მიხაილ!

საზოგადოთ უნდა ესთქვათ, რომ ჩვენ ყველანი დროებით სტუმრები ვართ ამ გაუტანელ და დროებით წუთის სოფელში და ადრეა თუ გვიან ჩვენზედაც მოაწვეს დვთის განჩინება, ჩვენც ყველანი გარდავიცვლებით ამიერ ქვეყნიდან და შენებრ ჩავესვენებით ცივ სამარეში. მხოლოდ სიკვდილი ადამიანისა ორგვარია: ზოგიერთი გარდაიცვლება თუ არა, მა-

*) შენიშვნა. გასაკვირვალაია, რამ მოაფიქრებია ბ. მასწავლებელს რუსული გალობა იმ ეკლესიაში, სადაც ერთი რუსიც არ შევა წელიწადში.

რედ.

შინვე დავიწყებული შეიქნება, როგორც ხალხისთვის უსარგებლო, გამოუდევარი და უნაყოფო. და ვისაც კი ცოტათ თუ ბევრათ უშრომია და რაიმე ნაყოფი მოუტანია საზოგადოებაში თავის მოძმეების საკეთილდღეოდ მღვდელია იგი, თუ ერი, იგი მუდამ დაუვიწყარია ხალხის გულში, მოკლედ დავასახელებ მღვდლის მოვალეობას და მერე უფრო ნათლად წარმოვიდგენთ შენს ღირსეულ პიროვნებას; მღვდელი არის ქრისტეს მოციქულის მოადგილე და თავის სამწყსოს შუამდგომელი ღვთის წინაშე; მოძღვარი არის წმიდა საიდუმლოების აღმასრულებელი, პასუხის მგებელი ღმერთთან და კაცთან. მღვდლობის მოვალეობა და სამსახური არც ერთს მოვალეობას და სამსახურს არ შეედრება; თითქმის ყოველ თანამდებობის პირს აქვს განსაზღვრული დრო და ჟამი თავისი მოვალეობის შესრულებისათვის, მაგრამ მღვდლობის თანამდებობის და მოვალეობის შესრულებისათვის კი არ არის დანიშნული და განსაზღვრული დრო; მღვდელმა თითონაც არ იცის, თუ როდის დაილლება, ან დაისვენებს; მღვდელი მუდმივ უნდა იყოს ფიზიკური გუშაგი და დარაჯი მისდამი რწმუნებული სამწყსოსი დღეც და ღამეც და შემთხვევის დროს თავი თვისიც უნდა დასლვას ცხოვართათვის. ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირი მოვლენაა, რომ სოფლებში გადამდები სენით ავთამყოფობის დროს შიშისა გამო ქირისუფლები და მხლობელი ნათესაეებიც კი სტოვებენ საცოდავ ავთამყოფს და მეზობლები ხომ გაურბიან და არ ეკარებიან; ამ დროს ვინდა არის ავთამყოფის გამამხნეველები და მანუგეშებელი ხორციელად და სულიერად? ისთვე მღვდელი, ისთვე მოძღვარი; იმ დროს მღვდელი დაურიდებლად შედის ავთამყოფთან, ათქვეინებს აღსარებას, მიადებებს წმიდა საიდუმლო ზიარებას, ანუგეშებს და ამშვიდებს. ნეტარება იმ მოძღვარს, რომელიც თავის დიდ მოვალეობას პირნათლად და ღირსეულად შესრულებს თავის სამწყსოში, აი ამ მხრით ნეტარი და ბედნიერი ხარ შენ, მამაო მიხაილ, რომელიც 42 წლის განმავლობაში ღირსეულად

და პირნათლად ასრულებდი შენს მოვალეობას. შენ ღრმად მორწმუნე და ღვთის მოყვარე მღვდელი იყავი; რავდენადაც გიცნობდი, შენ იყავი დარბაისელი, მკტიცე ხასიათის, აუჩქარებელი, დინჯი, წრფელი სინდისის მქონე, შენი საყვარელი სამწყსოს კეთილი გზის მაჩვენებელი, ერთგული, ქირში და ღვთის დამშვენებელი და მანუგეშებელი, მკტიცედ და ბეჯითად აღმასრულებელი შენი მოძღვრული მოვალეობისა; ისე ღირსეულად გაატარე და განვლე შენი მღვდლობის 42 წლის სამსახური, რომ არავითარი საყვედური არ მიგიღია, კეთილო მწყემსო, არც მთავრობისგან და არც საზოგადოებისგან. უმთავრესი მიხანი შენი ამ ქვეყნად ცხოვრებისა შენი სულის და გულის მისწრაფება იყო პატიოსანი მოძღვრის სახელის და სამწყსოს სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება და მეორე მხრით ღირსეული ოჯახის წინ გაძლოდა და შვილების აღზრდა და სწავლა-განათლება, რომელი მიხანიც და მისწრაფება კიდევ დაავიკრავინე და სასახელოდ შეასრულე.

მოგმართავ თქვენ, მამაო ბიქტორ და ყველასგან დიდათ პატივცემულო ტრიფონ მიხაილისძეც, და გთხოვთ ნუ სტირით მამა მიხაილს, მამა თქვენი არაა მკვდარი, ეს დაუვიწყარია ხალხის გულში; სიკვდილი არ ეთქმის ისეთ მამას, რომელმაც თქვენებ ღირსეული შვილები აღუზარდა სამშობლო კუთხეს; მამა მიხაილმა თქვენი აღზრდით და განათლებით დაამშვენა სამშობლო ეკლესია და ქართული ღირსეულობა; ვგონებ არ ვსტყუვი და არც ეპირმოთნეობ, რომ ერთი თქვენგანი საშუალო განათლებით შრომობთ ქრისტეს ყანაში და წინ უძღვით ქრისტეს წმიდა ეკლესიას, სამწყსოს და თანამომე სამღვდელოებას და მეორე კი სასახელოდ და ნაყოფიერად შრომობთ პედაგოგიურ ასპარეზზე უმაღლესი განათლებით, წრთენით, ზრდით ახალგაზღობას და სამშობლო ქვეყანას უმზადებთ ერთგულ შვილებს და იმავე დროს უანგარო შრომით ამკობთ და ამშვენებთ მშობლიური ენის ღირსეულობას. არა თქვენი მამა მკვდართ არ ჩაითვლება.

ბოლოს ისევ შენ მოგმართავ, მამაო მიხილ, და მოგახსენებ, რომ შენ არა ხარ მკვდარი, არამედ გარდაიცვალე სიკვდილისაგან ცხოვრებად და ჩვენ, როგორც მიწიერი ადამიანები, კიდევ ვიტყვი, რომ შენის გარდაცვალებით დაობლდა არა მარტო შენი ნაჭირ-ნახულები და ნაამგარი საყვარელი ცოლშვილი და ოჯახი, არამედ თვით შენი მოსიყვარულე და ღრმად პატივისმცემელი სამწყსო, რომლის საკეთილდღეოდ პირნათლად გიმსახურია და არ გიღალატნია უკანასკნელ კუბოს ფიცრამდის; ამიტომაც არის, რომ შენ გაცივებულს გვამს საერთო გრძნობით და მწუხარებით ყველანი თავს დაგტირიან და უკანასკნელად გემშვიდობებინ. მშვიდობით, კეთილო მწყემსო, მშვიდობით საყვარელო მამაო და მუდამ სახსოვარო ერთგულო მოძღვარო, გიხაროდენ და მხიარულ იყავი, ნეტარო მწყემსო, რამეთუ სასყიდელი შენი მრავალ არს ცათა შინა. წარსდექი იქ, სადაცა მართალნი განისვენებენ და ნურც იმ ქვეყნად მოაკლებ, სულმნათო, კეთილო სულო, შენს წმიდა ლოცვას და მფარველობას დაობლებულ ოჯახს და სამწყსოს.

მღვდელი ბესარიონ ვაშაძე.

ფშავ-ხევსურეთის სალოცავები.

და ცოტარამ მათ და შათი მლოცავების შესახებ.

1910 და 1911 წლებში დარჩიამ ერთი კარგი საქმე მოაგვარა, რომელიც მისი სასარგებლოც არის და ზოგიერთი შორიდგან, ქართლ-კახეთიდგან, მომდინარე მლოცავნიც ააციდინა მალალი იორის სათავე მთებზე გადასვლა-გადმოსვლას. აი როგორ: ამ ზემოხსენებულ წლებში, რადგანაც, როგორც მკითხველთაც ვხსოვებთ, მამა ილარიონ ბერმა მონასტრის დაარსების ნებართვა აიღო სასულიერო მთავრობისაგან თამარის სალოცავში, დარჩია ბევრს ეცადა იმის საქმის ჩაშლას და აქეზებდა

ხალხს, რომ მამა ილარიონ ბერი თამარ მეფის სალოცველოდან გაეძევებინა, მაგრამ, ეს საქმე რომ სისრულეში ვერ მოიყვანა, დარჩიამ ახლა სხვა ხერხს მიმართა. მოიშოო სხვა უნკროსი ხევის ბერ-დეკანოზები და საქმე სხვა-ნაირად დაიწყო. თიანეთის მავზრის არტანის საზოგადოებაში სოფ. ხათრევაში ააშენა ორ ალაგას პატარ-პატარა ნიშ-სალოცველოები, ერთი თამარ მეფის სახელზე და მეორე ლაშარის ჯვარის სახელზე და ზედ დაჰკიდა ხუთ ფუთიანი ზარები იმ მიზნით რომ, მამა ილარიონს მლოცავები ჩამოაცალოს, თავის ახლათ აშენებულ ეკლესიიდგან. მართლაც, დეკანოზი დარჩიას რჩევით ამ ახალ აშენებულ ნიშებს უფრო ლოცულობენ მლოცავნი, ვიდრე მთაში, ძველ ალაგას. თანაც დარჩია დეკანოზს მადლობით იხსენიებს ხალხი მიტომ, რომ მითომ დარჩიამ ხატებს ნება გამოსთხოვა და შორს საძნელო ალაგებში აღარ იწვევთ ხატი მლოცავთ სალოცავთ. მთის დეკანოზებს, ქერჩოს და სხვებს, ძლიერ ჯავრი მოსდით, რომ ეს ამოდენა მლოცავი მოსწყვიტა ფშავ-ხევსურეთის მთის სალოცავებს და თავისაკენ მიიბირა დეკანოზმა დარჩიამ, მაგრამა რას იზამენ, როცა დარჩიას მეტი ნდობა და პატივი აქვს ხალხში. ან არა-და რათ არ მოუვათ ჯავრი დეკანოზ ქერჩოს და მის უნკროსებს, რომ მათ მოაკლდათ კახელ მლოცავებისგან მშვენიერი წითელი ღვინო ზედაშეთ მიტანილი და გამტყიცული თეთრი შოთები, აგრეთვე მლოცავებს უსათუოთ დეკანოზმა უნდა დაუკურობოს სუფრა-ზედაშე და ამასთანავე უნდა დახადოს მლოცავებს თეთრი ხალათ-მოსახვევები და შეხსნას შინები და ჯვრები.

ამ ნაირათ, კარგი მოგვეცეს ღმერთმა მეცა და თქვენც, ბატონო, დარჩია დეკანოზს კარგი ლუკმა ჰქონდეს ხელში ჩავარდნილი. თითქმის ყოველ ცისმარა დღეს მიდის მლოცავი დარჩიას ახლად აშენებულ უდაბნოში, და მიაქვს ჩვეულებრივი ძღვენ-საწირავი. ნათქვამია: „ქოჩორი თხელი და მუცელი მგელიო“. მოხარული, შემწვარი, მწვანე მინდორი, კვი ჩრდილი, წინ სავსე ხონჩა და სეელი

ჩარქა, — გათენდი და დაღამდი, სხვა რა უნდა დარჩია დეკანოზს. დარჩია დეკანოზი ხშირათ იტყვის ხოლმე: „ჩემი ცდა ღმერთთანაც ცხადია და ხატთანაც; აი ეხლაც ჩვენს დიდებულ სალოცავებს გამოვსთხოვე სამლოცველოების მთიდან ბარში გადმოტანა, მლოცავი წვალეზას და მალალ მთებში ხეტიალს ავაცდინევი, აბა სხვას რას ვაშავებ?, ძალათ ხომ არავის რას ვართმევ, შრომის ფასს მაძღვევენ და მეც ვართმევ. ნათქვამია, „მუშა ღირსია სასყიდლისაო“. რო არ დავამწყალობნო, ხალხი ცოდოა, ხატსაც ეწყინება და არც მლოცველისთვის არის კარგი; გაჭირების დროს ხატთან დაპირებულია, ქდე ამოუგდია, რომ უნდა თავში ქე იცეს, ყველა საქმეს თავი უნდა დანებოს, წავიდეს და ხატს თავისი დანაპირები აუსრულოს. განა ხუმრობა ხომ არ არის? მათი მასხარა ხომ არა ბძანდება იმ დალოცვილი ხატი, რომ მლოცავმა მოატყუოსო“, დს სხვა ამისთანეებით არწმუნებს დეკანოზი დარჩია ხალხს...

გარდა ამისა დეკანოზ დარჩიას ერთი მკითხავი ქალი სულ თან ახლავს. ეს ქალი მკითხავიც არის და ხატის მონა ქალიც, რომელსაც სახელად ბრმა ქალს ეძახიან, და მართლაც ბრმა არის. ამ ქალს თვალის სინათლეები მოხარშული ტყემალივით აქვს გათეთრებული და მკითხავობით საზრდოობს. ეს ქალი დეკანოზ დარჩიას წინასწარმეტყველივით არის და მკითხავობის დროს მომკითხვეთ სულ იმას ეუბნება „თამარ მეფემ და ლაშარის ჯვარმა მთაში ძველ ადგილებს თავი მიანებეს, და აი ეხლა აქ არიან. ჩვენ ღირსნი არა ვართ მათი ხილვისა, ვერ ვხედავთ და ისინი კი გვხედავენო, და ისინი ასე ბძანებენ თამარ მეფე და ლაშარის ჯვარი (ლაშა გიორგი): ჩვენმა მორიგე უფალმა გვიბძანაო ძველს ალაგს მთას მოშორდით და ბარში ჩამოდითო, მლოცავსაც იქ უბძანეთო და იქ გილოცონთქო. ამისთვის თამარი და ლაშარის ჯვარი ეხლა აქა ბძანდებიან. მე რომ ბრმა ვარ და აგერ ვხედავ მათ, ისენი ოქროს ტახტზე სხედან და სწერავენ, ვინ რამთენი შასწირა ან შარშან ანუ წელსა და ან კიდევ ვის აკლია საწირავი

რომ მკითხავის პირით უბძანოს, მოაყვანინოს ანუ მოატანინოს, რაც შეაწერეს კეთილის გულით და სულით; თუ არ მოვლენ, ისინი (თამარი და ლაშარი) მეცნიერნი არიან, მაშინ, მოტანას არ გაუთვლის და სხვა დროს ორი იმოტენა უნდა მოიტანონ, თორემ კარგათ ვერ მოუვათო“...

ასეთი გავლენა აქვს ხალხზე ხევის ბერ-დეკანოზებს და მათს მკითხავებს. სხვათა შორის, ხალხსა სწამს, რომ თამარ მეფე აქიმოც იყო, ეხლაც აქიმობს, ასე რომ ეხლაც, ვინც ავათმყოფი შესთხოვს-შეეხვეწება თამარ მეფეს, მიწამლე მომარჩინეო და აი შენი წამლის ფასს ახლავე ცალკე შევინახოვო, აიღებს ერთს მანეთს ფულსა და ცალკე შეინახავს ავათმყოფი, მერე მოჩრება თუ მოკვდება, მაინც უნდა მიართოს დაპირებისამებრ ხატსა, ან ხევის-დეკანოზს მისცეს და ის გადასცემს მითომ და ხატს. წარსულ 1910 წელს 1-ს ივლისს იყო თამარის დღეობა დარჩიას ახლად დაარსებულ სალოცავში, და ერთმა დარჩიას ხელ-ქვეითმა ხევის ბერმა მიამბო, რომ მარტო ერთს დღეს ცხრა თუმანი ფული შემოგვივიდა მლოცავებისგანაო, და სხვა შემოსავალიც: ვერცხლეული, სპილენძეული, ფარჩეულობა და შალეულობა ბლომათ შემოვიდაო. სხვა დროსაც ასე აუარებელი შესაწირი შედის, როგორც სხვა და სხვა ფშავ-ხევსურეთის სალოცავებში, ისე, რასაკვირველია, თამარის სალოცავში მომეტებულათ, თამარის პატივსაცემათ, მაგრამ ვინ არის პატრონი? რასაც უნდათ იმას უშვრებიან დეკანოზ-ხევის ბერები. ურიგო არ იქნება ჩვენი სასულიერო მთავრობა ამ სალოცავებს ყურადღებას მიაქცევდეს. უნჯობესი იქნებოდა, თუ სულ არა, ამოდენა შემოსავლის ერთი ნაწილი მაინც, რაიმე კეთილ საქმეს მოხმარებოდა, ისევე ხალხის სასარგებლოთ...

წერილები რედაქციის მიმართ.

თავად ოტია დადიანის წერილის გამო.

მაშალ რედაქტორა!

გთხოვთ უმორჩილესად ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „შინაურ საქმეებში“.

„შინაურ საქმეებში“ წაეკითხე გაზეთ „კოლხიდ“-იდან გადმობეჭდილი თავადი ოტია დადიანის წერილი, ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს საპასუხო. ამ წერილში პატივცემული თავადი ოტია თავს იმართლებს ყოვლად სამღვდლოსა და საზოგადოების წინაშე, — მე, მართალია, საჩივარს, რომელიც ხარების მონასტრის ბერმა მომიტანა, ხელი მოვაწერე, მაგრამ შინაარსი არ ვიცოდი, რადგან ავადმყოფობისაგამო წაკითხვა არ შემეძლო, მხოლოდ ვენდები იმას, რომ საჩივარზე ხელი ქონდათ მოწერილი ჩემს ძმას და ძმისწულს, — და თან დაუთმე ბერის დათინებით თხოვნასო. როგორც აღმოჩნდა, საჩივარი სიცრუევით აღსაყვო აღიქვა, რამაც მისი მეუღლისაგან და გარეშე პირებისაგან გაზეთებში პასუხი გამოიწვია. მე, როგორც ერთი უბრალო მონასტრის ბერი, ნებას არ მივსცემ ჩემს თავს, არ გავკანთადრდები თავში ვაეიტარო ის აზრი, რომ პატივცემულ თავადებს განზრახ ჩაედინოსთ რაიმე შესახებ ხარების მონასტრისა და წინააღმდეგ მისის მეუღლის ლეონიდის პიროვნებისა, პირ იქით მე ცოდვილი დარწმუნებული ვარ ამ შემთხვევაში, რომ ბ. ბ. დადიანები შეცდომაში არიან შეყვანილნი იმ ბერისაგან, რომელმაც მათ საჩივარი მიუტანა ხელმოწერად და წააქეზა, — თქვენს საყვარელ მომასტერს ყ-დ სამღვდლო ლეონიდი აშტატებსო (როგორც ხარების მონასტრის განმთავსებლის ანდერძიდან სჩანს, მიტროპოლიტი ანტონ პირველი მათი გვარიდან სრულიად არ ყოფილა). ვინაიდან ხარების მონასტერში მხოლოდ ორი ღვდელმონაზონია, ერთი ანტონი და მეორე შე, ქვემოთ ამისა ხელის მომწერი, ხოლო თავ. ოტია დადიანი კი არ აცხადებს სახელს ხარების მონასტრის იმ ბერისას, რომელმაც მას საჩივარი

მიუტანა ხელმოწერად და ვრაცხ რა ბერის ასე წინააღმდეგ საზოგადოებისა და მისი უფროსის საჩივრის ქუჩა-ქუჩა ხელმოწერად ტარებას შეუსაბამოდ და საზოგადოდ ასეთ მოქმედებას ცბიერად და შემბლაღველად სინოდისა და პატიოსნებისა, კვადნიერდები და უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ თავ. ოტია დადიანს, კეთილ ინებოს და გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს — რომელი ბერი იყო სახელდობრ ნახარებრუს მონასტრისა მასთან. შეიძლება მან ბერის სახელი არც კი იცოდეს მაგრამ ის მაინც ემთხვევა ბერი ახალგაზრდა იყო თუ მოხუცი და თუ ესეც შეუძლებელი იქნება, მაშინ ორივე ბერები ნახარებოუს მონასტრისა და გვიბაროს მასთან, რომ პირადად გამოვეიცნოს. მე, მართალია, მღვდელმონაზონი ვახლავარ, ქვეყანაზე უმნიშვნელო არსება, მაგრამ არ მსურს, როგორც სულიერ მამას, ცბიერი და ფლიდის სახელს ვატარებდე და მით დავიშახურო, როგორც ბერმა, წყრომა და კრულვა ღვთისა და კაცისა. ეს საქირად მიმაჩნია მით უფრო, რომ ბატონი თავ. ოტია დადიანი ბრძანებს (იხილე „შინაური საქმეები“ №№ 12-13. ამა წლისა) — ჩემის ძმის ივანესი და ძმისწულის ნიკოლოზის (კოცის) ხელმოწერილი მიჩვენა ბერმაო და — მერმე მეც ხელი მოვაწერეო და ხსენებული მისი ძმისწული კი გაზეთის საშუალებით აცხადებდა ამას წინეთ; სხვათა შორის, რომ ჩემი ბიძების ხელმოწერილი ვნახე და მერმე მეც ხელი მოვაწერეო. — რომელია მართალი, ვინ იცის?! ამასთან უფრო შესანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი ორივე — ბიძა — ძმისწული ბრძანებენ, თავ. ივანეს ხელმოწერილი ქონდაო მაშინ, როდესაც, როგორც ნამდვილ შევიტყვე. ბ. ივანეს იმ საჩივარზე ხელი სრულიად არ მოუწერია და როცა მან შეიტყო, რომ ვილასაც მის მაგიერ მოუწერია ხელი და ისეთ გაუგზავნიათ სინოდის კანტორაში, მან ამაზე ქალღმადღველი შეიტანა და პროტესტი გამოაცხადა კანტორაში, აქედან, სხვა უწყესობათა შორის, სჩანს ისიც, რომ ამ საჩივრის მომტანს ბერს სიყალბეც ჩაუდენია — თავ. ივანე დადიანის მაგიერ თვითონ მოუწერია საჩივარზე ხელი, ან და

სხვისთვის მოუწერინებია ხელი, რაისათვის კანონმა, შეიძლება, „უბერობასაც“ არ დააჯეროს იგი.

პატივისცემით მღვდელმონაზონი ნახარბივის მონასტრისა დავითი.

კვირიდამ-კვირამდე

21 აპრილს მომხდარმა კრების საწინასწარო საბჭომ გინიხილა პროექტი **დამოუკიდებელი საეპარქიო სასამართლოს დაარსების შესახებ.**

რადგან ეს საკითხი ღირს შესანიშნავი იყო მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში, ამისათვის ამ სხდომაზე მრავალი სასულიერო პირი დაესწრენ. გარდა საბჭოს წევრებისა იქ იყვნენ, კიევის მიტროპოლიტი ფლადიანე, პოლტავის მთავარ-ეპისკოპოსი ნაზარი, ეპისკოპოსნი ვოლოგოდის ნიკონი, ტამბოვის კირილე, კიშინევის სერაფიმე და ობერ-პროკურორი ვ. კ. საბლერი.

საბჭომ სასურველად იცნო კოლეგიური საეპარქიო სასამართლოს დაარსება, რომელიც უნდა შესდგეს საეპარქიო მღვდელ-მთავრის მიერ დანიშნულ სინოდის მიერ დამტკიცებულ და სამღვდლოებისაგან აღრჩეულ წევრთაგან. სამღვდლოებისაგან აღრჩეული წევრნი „საეპარქიო სასამართლოს საპატიო წევრებად“ წოდებულნი, დამტკიცდებიან სინოდისაგან მღვდელ-მთავრების წარდგენილობით. საპატიო წევრნი საეპარქიო სასამართლოსი გათანასწოებულნი იქნებიან მომრიგებელ საპატიო მოსამართლესთან. სასამართლოს საქმეებს საეპარქიო სამსჯავროში მოახსენებენ სასამართლოს წევრნი. საეპარქიო სასამართლოს მდივანს ექნება ზოგიერთი უფლებანი სამოქალაქო სასამართლოების პროკურორებსა.

შეტანილია აგრეთვე მრავალი ცვლილებანი საამდროო დებულებაში და თვით სასამართლოს წარმოებაში. პროექტის მიხედვით, ბრალდებული ვალდებულია პირის პირ გამოცხადდეს საეპარქიო სასამართლოში და წარად-

გინოს თვისი ახსნა-განმარტებანი და დამტკიცებანი. ამავე კრებაზე გადასწყდა, წერილ უმნიშვნელო საქმეების განსახილველად, როგორც მაგალითად საეკლესიო შემოსავლის გაყოფა კრებულის შორის, დაარსდეს მდებალი ინსტანცია მოსამართლეებისა საკეთილმოწყესო ოლქებში. შემდეგი სხდომას ამ საკითხის განხილვას მოანდომებენ.

ყოველდღისადაც ალავერდის ეპისკოპოსი დავითი ვლადიკავკაის ქორ-ეპისკოპოსათ გადაიყვანეს.

რას გეჟერენ?

სოფელი არგვეთი (საჩხერის საეპარქიო)

26 აპრილს ამა 1912-ის წლისა არგვეთის ორკომპლექტიანი სამრევლო შკოლის დასათვალისწინებლათ მობრძანდა იმერეთის ეპარქიის სამრევლო შკოლების მეთვალყურე ბ. ვლადიმერ ივანესძე ავერკიევი, შორაპნის მაზრის შკოლების მეთვალყურის მამა იაკობ გველესიანის და ადგილობრივი ბლაღოჩინის მამა ვლადიმერ აბრამიშვილის თანხლებით. შემობრძანდნენ თუ არა შკოლის ეზოში, მათ წარუდგნენ ადგილობრივი შკოლის ხელმძღვანელნი: გამგე შკოლისა მამა ნესტორ დევიძე, მასწავლებელნი მთავარდიაკონი ილარიონ ნასარიძე და ლეონტი კვესიტაძე, მზრუნველი აზ. ნიკო კურცხალია და ადგილობრივი მამასახლისი სამსონა თურმანიძე (მომამგე შკოლისა). შკოლის გამგემ მღვდელმა მამა ნესტორ დევიძემ მოკლეთ გააცნო პატივცემულ პირთ შკოლის მდგომარეობა, რის შემდეგაც შემობრძანდნენ იგინი თვით შკოლაში, იქ, სადაც მწყრივთ ჩვეულებისამებრ იდგნენ ორივე კლასის მოსწავლენი დილის ლოცვის მოსასმენლად. მოსწავლეებთან ერთად ხსენებულმა მეთვალყურეებმა და მოსწავლეთა მშობლებმა, რომელთაც კი გაეგოთ მათი მობრძანება და მოსულიყვნენ, მოსმინეს დილის ლოცვა, რის შემდეგაც მოსწავლენი თავთავიანთ კლასებში დარიგდნენ. ბატონი ვლა-

დიმერ ივანესძე შეუდგა პირველი რიგის მოსწავლეთა გამოცდას. ბავშვების წარჩინებულმა კოდანამ და მათმა მკვირცხლმა პასუხებმა კარგი შთაბეჭდილება იქონიეს მეთვალყურეებზე და აგრეთვე დამსწრე პირებზედაც, — რომლებს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მოსწავლეთა გამოცდის შემდეგ აზნაურმა მიხეილ დავითისძე მაქავარიანმა, როგორც მთელი საზოგადოების წარმომადგენელმა, მიმართა ბატონ ავერკიევს შემდეგი მგონობიარე სიტყვით: „ბატონო ვლადიმერ ივანესძე! თქვენი მობრძანება ჩვენს შკოლას განუსაზღვრელ სიხარულსა ჰგვრის, იმიტომ რომ თქვენ შეგიძლიათ წარმატება მოუტანოთ მას, რომელიც არის და იქნება ჩვენთვის უკვდავი კეთილი საუნჯე პირველდაწყებითი განათლებისა. როგორც წარმომადგენელი ადგილობრივი საზოგადოებისა, რომელიც შესდგება 1800 კომლისაგან, მადლობას გიძღვნით მობრძანებისა და შკოლის დათვალიერებისათვის მით უმეტეს, რომ თქვენა გზადთ აქ პირველი მობრძანება მაშინ, როდესაც გაზაფხულის წყალდიდობამ და აედრებმა აღარც ხიდი და აღარც გზა არ შეგვარჩინა, რის გამოც ბევრს წვალებას განიცდიდით, მაგრამ სჩანს, რომ არასფერს არ ერიდებით შკოლების წარმატებისათვის. აგრეთვე ნება მიბოძეთ მადლობა შეესწირო ადგილობრივი შკოლის გამგეს და მასწავლებლებს ენერგიული შრომისათვის; გთხოვთ იზრუნოთ მათი ნივთიერათმდგომარეობს გაუმჯობესებისათვის. მე კი, სულითა და გულით დამტკბარს დაჯილდოვებულს ჩვენი ახალი მოზარდე თაობის გამარჯვებით, უკანასკნელათ ბ. ვლადიმერ ივანესძე; ნება მიბოძეთ საჩუქრათ მათთვის ტკბილეულობისათვის მამა ნესტორს, გამგეს ჩვენი შკოლისას, გადავსცე მცირეოდენი საჩუქარი...“ ამ სიტყვების შემდეგ მეთვალყურეთ შკოლის სარევიზოო წიგნში აღნიშნეს კეთილსინდისიერი მოღვაწეობა მასწავლებლის მ. დიაკონისა და მხურვალე თანაგრძნობა მცხოვრებთა შკოლისადმი და ამწაირათ, წასიამოვნებ ბავშვების კოდანთ და საზოგადოების თანაგრძნობით, გაემგზავრნენ სხვა შკოლებში დასათვალიერებლათ.

ბატონი მიხეილ დავითისძე მაქავარიანი-საგან ბოძებული მოსწავლეების საჩუქრათ ტკბილეულობისათვის ათი მანეთი აღმოჩნდა, რაიცა თვის დანიშნულებას შეასრულებს, ეგეთი საჩუქარი და თანაგრძნობა შკოლის წარმატებისათვის მისგან პირველი არ არის... უღრმეს მადლობას უცხადებთ მოსწავლეებათურთ ბ. მიხეილ მაქავარიანს გამგე და მასწავლებელნი არგვეთის შკოლისა დამშვენებისა და მისი გულითადი თანაგრძნობისა და დახმარებისათვის.

მასწავლებელი-დიაკონი ილარიონ ნასარიძე.

ეკლესიის კურთხევა.

8 მაისს 1912 წელსა, მისი მეუფება ყოვლადსამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი მობრძანდა ს. ოზხას საკურთხად იმავესოფლის ეკლესიისა, რომელიც შენდებოდა 20 წლის განმავლობაშიდ. მიუხედავად ცუდის ამიდისა ურიცხვი ხალხი დაესწრო წესი კურთხევისა შესრულდა ბრწყინვალედ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელთა შორის. განიცადეს დროს მისმა მეუფებამ უბრძანა მამა დეკანოზი. კეიშვილს წაეკითხა ხალხისათვის „იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელ წმ. გიორგის ძმობისაგან“ — გამოცემული ფურცელი, მილოცვა მაშენებელთა ეკლესიის, რომლის წაკითხვის და მისგან წარმოთქმულის სიტყვისათვის დიდი მადლობა განაცხადა ხალხმა. წირვის შესრულების შემდეგ, მისმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძობიერი სიტყვა და მიულოცა ეკლესიის მაშენებელთა და მასთან განუმარტა, თუ როგორ გაასუფთავონ და შეინახონ ეკლესიის გალავანი და მასთან კეთილ-ინება დარიგება „ძმობის“ გამოცემისა, რომლის მიცემის დროს ერთი-მეორეს ეჩებებოდენ.

9 მაისს მისი მეუფება მობრძანდა იმ ადგილს, სადაც სვირში ამას წინეთ დაიწვა ხის ეკლესია, დაათვალიერა ორი ადგილი ხალხისაგან არჩეული ეკლესიის შენობისათვის და მიზანიც ეს იყო ეპისკოპოსის მობრძანებისა თხოვნისამებრ მრევლისა, მრევლს მისმა

მეუფებამ აუხსნა მიზეზი უთანხმოებისა და შუარიანობისა, რომლის გამო იღუპება ხალხი და მკირდება ქრისტიანობრივი გრძობა და კეთილი საქმის დაწყება და შესრულება. ხალხმა გრძობით მოისმინა მისი მეუფების სიტყვები.

ბლალ. დევანოზი მ. მკვლდიძე.

მადლოვის გამოცხადება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის „შინაური საქმეები“-ს საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც პირადათ ჩემგან, ისე სოფელ კორბოულის ღვთისმშობლის ეკლესიის მრევლის მხრით ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომელთაც კეთილინებებს და ზემოხსენებულ ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: დომენტი ალფეზისძე მაქარაშვილმა შემოწირა სერობის წინ დასაკიდებელი კანდელი და ტრაპეზზე დასადგმელი სამღეროვანი შანდალი, — ღირებული ორივე 20 მანეთად. ოქროპირ სოლომონისძე კაპანაძემ შუა ეკლესიაში დასაკიდებელი კანდელი, ღირებული 20 მანეთად. ილია ილარიონისძე კიკნაძემ ერთი წყვილი ჯვარსაწერი გვირგვინები, — ღირებული 8 მანეთად; თეოდოსია ბესარიონის ასულმა მღვდლის მაქარაშვილის მეუღლამ — აღსავლის კარების კრეტსაბმელი, ღირებული 5 მანეთად; მღვდელმა სპირიდონ აბულაძემ — სამღეროვანი შანდალი — ღირებული 3 მანეთად და იასონ დიმიტრისძე ფარეშიშვილმა ხატის წინ დასაკიდებელი პატარა კანდელი, ღირებული 5 მანეთად.

გვაქვს იმედი, რომ ზემოთ დასახელებულ პატივცემულ პირთ აღმოუჩნდებიან წამბაძველნი, რისთვისაც მათ დიდი მადლობა გამოუცხადებათ გაზეთის საშუალებით.

კორბოულის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი
ელადიმერ მაქარაშვილი.

შეტომის გასწორება.

„შინაური საქმეების“ 7 №-ში მოხსენებული იყო, რომ მისმა მეუფებამ ეპის-

კოპოსმა დავითმა სამასი მანეთი შესწირა სოფ. პატარა-ჯიხაიშის სამრევლო ეკლესიას გასამშვენებლათო. უნდა იყოს: „დიდი ჯიხაიშის ეზოსხატის ეკლესიას“.

ბლალოზინი მღვდელი ს. დევიძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მხედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

განცხადება

„ძმობის“ სტამბაში ამ ჟამად იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა გასასყიდათ წიგნები

„სინამდვილა სახარებისა“
და უბის
„ვეფხვის ტყაოსანი“

ფასი თითოეული წიგნისა **ექვსი შაური**. დაკვეთა დღეიდანვე შეიძლება.

„(ძმობის სტამბაში)“
დაიბეჭდა მეტრიკის ამოწერილობის ბლანკები.
იყიდება იქვე.

სტამბა - „ძმობა“

კახაკოვის ქუჩა, № 17,
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს
ასრულებს დროზე და სუფთათ.
ფასება დაკვეთილას.